ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 30 ივლისი 1999 №143 (916) | ფასი 50 თეთრი


4

### კალაძეს შუკერის არ სჯერა

კახა კალაძეს მადრიდის „რეალის" ხორვატი თავდამსხმელის კიევში ჩასვლის ამბავი ჭორი ჰგონია

7



### დიდთაგან პირველნი ფრანგები არიან

დღევანდელი ორი და ხვალინდელი შვიდი მატჩით საფრანგეთის ჩემპიონატი იწყება

14

### იყო: მარქსი, ენგელსი, ლენინი, რევოლუცია და ბოლოს — ევერესტი



იქ ასულთ კულუარში თოკზე დაკიდებული და კლდეზე შეყინული ორი მთამსვლელის გვამი დახვდათ. ერთიც იქიდან გადმომხტარიყო და მწვერვალის ძირში ჩაჩეხილიყო, ხუთნი კი კარავში ნახეს

# კალია ახტა, დახტა და...

## მიხეილ ყაველაშვილი ციურიხიდან „ციურიხში" გადავიდა და გოჩა ჯამარაულის თანაკლუბელი გახდა



TAGES-ANZEIGER ფოტოები

ყაველაშვილი „ბაიერნთან" მატჩის წინ

გუშინ, შუადღისას საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა მიხეილ ყაველაშვილმა შვეიცარიის „ციურიხთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და დღეის შემდეგ გოჩა ჯამარაულის თანაგუნდელი იქნება.

ამ ცოტა ხნის წინ თბილისში ჩამოსული მიხეილ ყაველაშვილი ციურიხს სამი დღის წინ გაფრინდა, მას იქაური „ბაზელი" და ზემოხსენებული კლუბი ეპატიჟებოდნენ. საბოლოოდ ყაველამ „ციურიხი" არჩია, თუმცა ისიც შევიტყვეთ, თითქოსდა „ბაზელი" ჩვენებურს უკეთეს პირობებს სთავაზობდა.

ეს ინფორმაცია გუშინ შვეიცარიის საღამოს გაზეთებმაც გაავრცელეს: „საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა მიხეილ ყაველაშვილმა ციურიხის „ციურიხთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 28 წლის თავდამსხმელი ბოლო ორი წედიწადი ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „მანჩესტერ სიტის" შვეიცარიაში ჰყავდა განათხოვრებული.

ითამაშებს თუ არა ყაველაშვილი შაბათს „ლუცერნთან", ეს მთლიანად სამუშაო ვიზის მიღებაზეა დამოკიდებული.

ქართველი ფორვარდით ევროპის სახელოვანი კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელ რადომირ ანტიჩს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა მიხეილ ყაველაშვილი ესპანურ კლუბში გადაებირებინა, მაგრამ არ დასცალდა, ესპანეთის თასის ფინალში მარცხის შემდეგ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

„ციურიხში" ყაველაშვილი თავის ძველ მეგობარ გოჩა ჯამარაულთან ერთად ითამაშებს. ისინი ადრე თბილისის „დინამოშიც" თანაგუნდელები იყვნენ..." — აი, ეს წერია შვეიცარიულ გაზეთ „ტაგეს ანცაიგერში".

ჩვენ კი, „ციურიხის" ახალშემატებულ ქართველს წუხელვე დავუკავშირდით. მიშა შვეიცარიის ქალაქ კრინსში ჩატარებული ოთხთა ტურნირიდან შინ დაბრუნებულიყო, სადაც „ციურიხის" შემადგენლობაში მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგაც უთამაშია 0:2 წაგებულ მატჩში.

— კრინსში გამგზავრებამდე ნახევარი საათით ადრე მოვაწერე „ციურიხთან" სამწლიან კონტრაქტს ხელი. მართალია, ჩემი ახალი გუნდი ყოფილს, „გრასჰოპერს" სიძლიერით ჩამოუვარდება, დაცვა, ფაქტობრივად, არ გვყავს, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებამდე „ციურიხის" უფროსებმა მითხრეს, უახლოეს მომავალში გუნდის სერიოზულად გაძლიერებას ვაპირებთო — გვითხრა მიშამ.

*— თითქოს შვეიცარიულივე „ბაზელი" უკეთეს პირობებს გთავაზობდა.*

— არა, მათი სიტყვა ციურიხელებისას არ სჯობდა. თანაც, ისიც გავითვალისწინე, რომ „ბაზელი" ინტერტოტოდანაც გავარდნილი იყო.

*— მადრიდის „ატლეტიკოც" ეპატიჟებოდაო...*

— პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ რადომირ ანტიჩს სურდა ჩემი „ატლეტიკოში" გადაბირება. ახლა კი ესპანელებს სხვა მწვრთნელი ჰყავთ.

*— „გრასჰოპერი" და „ციურიხი" ერთი ქალაქის გუნდები არიან. ახალ კლუბში გადასვლისას ამასაც გაითვალისწინებდი?*

— რა თქმა უნდა და არა მგონია, შევცდი. რა მოხდა, ადრე „გრასჰოპერში" ვთამაშობდი, ახლა კი...

და ერთიც: მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხში" გადასვლაში უდიდესი როლი სწორედ გოჩა ჯამარაულმა ითამაშა, რომელიც დღესდღეობით გუნდის საუკეთესო ფეხბურთელიაო, წერს იგივე შვეიცარიული გაზეთი.

ხმები კი, „კალია" ყაველაშვილი ლევერკუზენის „ბაიერში" აპირებს თამაშის გაგრძელებასო, ხმებადვე დარჩა.

დღეიდან მიხეილ ყაველაშვილი გოჩა ჯამარაულის თანაგუნდელია.

**კობა ინასარიძე**

# იგი წავა და სხვა მოვა?

## დომინიკ ჰაშეკი თავს არავის შეაცოდებს: ვარსკვლავი ვარსკვლავად მიდის

*35 წლის მართლაც სუპერვარსკვლავი, „დომინატორად" წოდებული ჩეხი დომინიკ ჰაშეკი ხუთჯერ იყო ჰოკეის ეროვნული ლიგის სეზონის საუკეთესო მეკარე, ორჯერ ლიგის უძვირფასესი მოთამაშე, „ბუფალო სეიბრზი" სტენლის თასის ფინალშიც გაიყვანა, ჩეხეთის ნაკრების მიერ ნაგანოს ოლიმპიადის მოგებაში კი ლომის წილი დაიდო. ეს მისი ყველაზე კაშკაშა მიღწევებია, თორემ ჩამოთვლა სხვებისაც შეიძლება. და აი, ჰაშეკი მიდის. ამაზე მან გუშინ, პრაღაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. დიდმა ჩეხმა ჟურნალისტებს უთხრა — ერთი წლის შემდეგ ციგურების მომრგები აღარა ვარო. კომპეტენტური ხალხის თქმით, ჰაშეკს არ სურს დაემსგავსოს იმ ვეტერანებს, რომელთა სპორტში ყოფნა უკვე აღარავის სჭირდება, ისინი კი მაინც თამაშობენ. იგი დიდი ჩეხი იყო აქამდე და ამ იმიჯით სურს დიდი ჰოკეის დატოვება.*



REUTERS ფოტოები

დომინიკ ჰაშეკი

# შანსის მოლოდინში



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გაიოზ დარსაძე

მეათე ეროვნულის წინ ვინმეს რომ ეთქვა, წყალტუბოს „სამგურალი“ თასის ფინალში ითამაშებსო, ან ამ კლუბის ბრმად სიყვარულს დასწამებდნენ, ანაც გიჟად ჩათვლიდნენ...

ევროპის რომელიმე საფეხბურთო ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენელმა რომ გვკითხოს, საქართველოში რამდენი ლიცენზირებული მწვრთნელი გყავთო და პასუხად გაიგონოს — ერთადერთი, ამჟამად უმუშევარი გაიოზ დარსაძეო, რას გაიფიქრებს ჩვენზე, თავადაც მიხვდებით.

მართლაც უცნაურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. სიბნელით მოცულ ოთახში ვეძებთ კატას, რომელიც იქ საერთოდ არ იმყოფება. ისეთი გზების ძიებაში ვათენ-ვაღამებთ, რომელიც ისევ იმ ადგილას მიგვიყვანს, სადაც ვართ. ამგვარმა ყოფამ შესაბამისი ცნობიერება ჩამოგვიყალიბა და ამიტომაცაა, ხშირ შემთხვევაში პარადოქსული მოვლენები ჩვეულებრივად, ლოგიკურად გვეჩვენება.

პარადოქსი. აბა, სხვა რა სახელი უნდა მოეძებნოს გაიოზ დარსაძის უმუშევრობის ფაქტს. მავანი იფიქრებს, ლიცენზიები და თეორიები იცოცხლე, კარგია, მაგრამ ფეხბურთი არც ისე მარტივი თამაშია, მხოლოდ კონსპექტებითა და თეზისებით წარმართოო. აბსოლუტურად მართებული შეხედულებაა. ნიჭიერება პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს იმ ადამიანმა, ვისაც სოლიდური თეორიული ცოდნის პრეტენზიები აქვს.

...გაიოზ დარსაძის სამწვრთნელო კარიერიდან მხოლოდ ორ ფაქტს შეგახსენებთ. პირველი შემთხვევა ცოტათი სცილდება კიდეც საფეხბურთო მოვლენათა კანონზომიერებას. ამ ამბავს ანალოგს ვერსად მოუძებნი. ალბათ, გახსოვთ, თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალის პირველი მატჩი ვაკეში „ლოკომოტივისა“ და „სამგურალის“ მონაწილეობით. ყველამ გავიხსენოთ როგორ შედეგს ვწინასწარმეტყველებდით მასპინძელთა სასარგებლოდ. ჰოდა, თუ ამდენს იტევს ჩვენი მეხსიერება, ისიც მოვიგონოთ, იმ შეხვედრის ბედი მობილური ტელეფონით რომ გადაწყდა. არა არც მაღალი ინსტანციებიდან დაურეკავს ვინმეს და არც მეცხრე ციდან. სტადიონის ტრიბუნებს ზემოთ, ხალხის თვალს მიფარებული იყო მაშინ გაიოზ დარსაძე და ტელეფონით იძლეოდა მითითებებს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ წყალტუბოელთა კლუბის გულშემატკივრები იმ საღამოს უეჭველად დალოცავდნენ ამ საკომუნიკაციო საშუალების გამომგონებელს.

მეორე ფაქტის შესახებ გუშინდელ „სარბიელში“ წაიკითხავდით. იქ ხომ შავით თეთრზე წერია, თუ როგორ აიძულა დარსაძემ ბავშვობაში მეკარეობის მოსურნე ვალერი გაგუა, შეტევის ხაზზე ეთამაშა. შედეგი ყველას კარგად მოგეხსენებათ. ვალერი გაგუა ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. ვისთვისაც ზემოთ მოყვანილი ფაქტები არაფერზე მეტყველებს, რჩევას მივცემ. გადაშალოს ერთი თვის წინანდელი „სარბიელი“ და თავად გაეცნოს იტალიური კოვერჩანოს სამწვრთნელო სემინარებიდან დაბრუნებულ გაიოზ დარსაძის მონათხრობს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ იმ კურსებზე მხოლოდ საქართველოს ჰყავდა ორი წარმომადგენელი. ჩვენი ფედერაციაც დაადასტურებს იმას, რომ უეფამ საგანგებოდ გაიოზ დარსაძისთვის დამატებითი ადგილი გამოყო და დავით ყიფიანთან ერთად მეორე მწვრთნელის კოვერჩანოში მიწვევის მოწმობა გამოგზავნა.

ასეა, ჩვენში დასანახი ყოველთვის იმალება და მერე დაუნახავებივით რომ ვიქცევით, სიცილით ვკვდებით. სიცილი, იცოცხლე, კარგია, მაგრამ სხვას რომ სასაცილოდ იგდებ, საკუთარი თავის დაცინვა არ უნდა გამოგივიდეს. ამგვარ მდგომარეობაში გუშინწინ ჩავვარდით. გულშემატკივარიდან დაწყებული ჟურნალისტით დამთავრებული ვხარხარებდით ბრაზილიელი დე სოუზას მოქმედებებზე. საკითხავი ისაა, ვინმე თუ ჩავუფიქრდით, რომ იმ ბრაზილიელს არაფერი ჰქონდა ჩვენგან საქილიკო. აბა, რას ველოდით თითქმის უვარჯიშებელი და ზედმეტი წონისგან ფორმადაკარგული ფეხბურთელისგან. ისევ ჩვენ თავს დავცინეთ. რატომ? თქვე დალოცვილებო, დე სოუზას ხომ არ დაუხევია ჩვენთვის კალთები, გინდა თუ არა, გუნდში ჩამრიცხეთო. აქეთ ხომ არ გადაუხდია ფული „დინამოს“ მაისურის მორგებისთვის...

ნათქვამია, ვინც ეძებს, კიდეც პოულობსო. ოღონდ კარგად უნდა მოძებნა. არც ისე უჭკუოები ვართ, როგორც ბევრს ჰგონია. მიზანი ყოველთვის შესაშური გვაქვს და მისი მიღწევის საშუალებებსაც ზერელედ არ ვირჩევთ.

საფეხბურთო საქართველოში თუ ვინმემ სხვაზე უკეთ უწყის საშუალებათა მოძიება და ზედმიწევნით გამოყენება, მათ შორის ერთ-ერთი პირველები ფოთის „კოლხეთის“ მესვეურები არიან. იციან ფოთელებმა, ვის რა ფასი აქვს და ვინ რისი მაქნისია. როცა მიხვდნენ, რომ კლუბის სერიოზულად ჩამოყალიბებისთვის და სოლიდური შედეგის მიღწევისთვის ეტაპობრივი ნაბიჯების გავლაა საჭირო, ამბიციები დროებით მიივიწყეს. გადაწყვიტეს, ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილებთან და ახალგაზრდა მოთამაშეებთან გეგმაზომიერი მუშაობის ხარჯზე მიაღწიონ სასურველს. ამ საქმეში კი მთავარ როლს ყოველთვის მწვრთნელი ასრულებს. ჰოდა, ფოთელებიც არ წასულან შორს, ადგნენ და გაიოზ დარსაძეს მიაკითხეს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელებულა. დარსაძემ საკუთარი შეხედულებები გაანდო სტუმრებს. რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი თუ გუნდში არ ვიყოლიეთ, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო, უთხრა მათ. მოკლედ, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და თავ-თავიანთ გზას გაუყვნენ. და მაინც, რა გზას ადგას დღესდღეობით უმუშევარი დარსაძე?

ერთი შეძლებული და თავისი საქმის პროფესიონალი კაცის სიტყვები მახსენდება. როცა მეკითხებიან, რა მასწავლა ყველაზე მთავარი ცხოვრებამ, ვპასუხობ — ლოდინი საუკეთესო მომენტისა.

ლოდინს კი მარტო ნებისყოფა არ ჰყოფნის. მთავარია, კარგად იცოდე, რას ელი. იქნებ ცხოვრებამ მხოლოდ ერთხელ მოგცეს შანსი და უნდა შეძლო მისი გამოყენება. ეს თუ ვერ გათვალე, უიღბლობისთვის განწირული ხარ.

გაიოზ დარსაძეც თავის შანსს უცდის. ჯერჯერობით ლოდინი ჰქვია უმუშევარი დარსაძის გზას და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საუკეთესო მომენტს იგი ხელიდან არ გაუშვებს.

**ხვიჩა სანიძიძე**

# ხუციშვილი შერიფს შურისძიებაში დაეხმარა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მიხეილ ხუციშვილი

კვირას, 25 ივლისს, მოლდოვის მორიგი ჩემპიონატი დაიწყო. ამ ქვეყნისადმი ჩვენი ინტერესი ტირასპოლის „შერიფში“ ხუთი ქართველი ფეხბურთელის თამაშით არის განპირობებული. ვაჟა თარხნიშვილსა და თამაზ პერტიას ცოტა ხნის წინ, მოგეხსენებათ, გიორგი რევაზიშვილი, დავით მუჯირი და მიხეილ ხუციშვილიც შეუერთდნენ. ქართველებით გაძლიერებული „შერიფი“ წლეულს ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად ითვლება.

პირველ ტურში „შერიფი“ კიშინიოვში „მოლდოვა — გაზს“ შურისძიების გრძნობით ანთებული ეწვია. ამ გაზაფხულს მოლდოვის თასის ნახევარფინალში კიშინიოველებმა „შერიფი“ დამატებით დროში რუმინელი ლეგიონერის ლეკუშტის მიერ გატანილი ოქროს გოლის წყალობით დაამარცხეს და ფინალში თავად გავიდნენ. ტირასპოლელებმაც გულში ბოღმა ჩაიდეს და იგი პირველივე შემთხვევისთანავე გადმოანთხიეს.

კვირას „შერიფის“ ძირითად შემადგენლობაში ვაჟა თარხნიშვილი და გიორგი რევაზიშვილი ვიხილეთ. შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში დავით მუჯირი, რომელიც 73-ე წუთზე მიხეილ ხუციშვილმა შეცვალა. სტუმრები პირველი ტაიმის შუაგულში დაწინაურდნენ. პოროშინის დარტყმულს მასპინძელთა მეკარე ჟმურკო ვერ გაუმკლავდა. 49-ე წუთზე პოროშინმა დუბლი შეასრულა და თითქოს შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა, მაგრამ მასპინძლებმა ერთი წუთის ინტერვალით ორი გოლი გაიტანეს და 73-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა. სწორედ ამ დროს „შერიფის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ბოროვსკიმ პასიურად მოთამაშე დავით მუჯირი მეორე დებიუტანტ მიხეილ ხუციშვილით შეცვალა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სწორადაც მოიქცა. მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ექსმერანელმა ხუციშვილმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა და „შერიფმაც“ 3:2 მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილმა მინდორზე სულ 17 წუთი დაჰყო, მოლდოვურმა პრესამ მას ქართველ ფეხბურთელთაგან ყველაზე მაღალი ნიშანი — 4 დაუწერა (უმაღლესი ნიშანი ხუთიანია). ყველაზე დაბალი შეფასება — 2,5 გუნდში მუჯირმა მიიღო.

მოლდოვის შარშანდელ ჩემპიონ კიშინიოვის „ზიმბრუს“ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ შეღავათი გაუწია და თბილისის „დინამოსთან“ გუშინწინდელი მძიმე მატჩის გამო, პირველი ტურის კალენდარული შეხვედრა გადაუდო.

**ვანო ოქროპირიძე**

# 2 000 სუსელის ბოიკოტი

გერმანული „ფრაიბურგი“ პირველი ბუნდესლიგის მორიგი ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადება. გუნდის შესახებ ინფორმაცია „სარბიელმა“ ათიოდე დღის წინაც მოგაწოდათ. მას მერე ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის კლუბმა სამი ამხანაგური მატჩი გამართა. სამოყვარულო „ჰაიტერსჰაიმის“ 16:0 ძლევისა და საბერძნეთის „პაოკთან“ ფრედ 1:1 დასრულებული შეხვედრის შემდეგ 22 ივლისს „ფრაიბურგი“ ტუნისს ეწვია და იქ ორი ამხანაგური მატჩი გამართა. გუნდთან ერთად ტუნისში მხოლოდ კობიაშვილი და ცქიტიშვილი გაემგზავრნენ. იაშვილი ექიმების რჩევით გერმანიაში დარჩა. ქართველმა თავდამსხმელმა ტრავმირებული ფეხი კი მოირჩინა, მაგრამ, მედიკოსთა თქმით, უმჯობესია, თამაშსა და ორთაბრძოლებს ცოტა ხანს კიდევ მოერიდოს.

პირველ მატჩში „ფრაიბურგი“ ტუნისის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „ეტოილს“ დაუპირისპირდა. გერმანული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ძირითად შემადგენლობაში ჩვენებურთაგან კობიაშვილი დააყენა, თუმცა თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ იძულებული გახდა, ცქიტიშვილით შეეცვალა, რადგან კობიაშვილი ერთ-ერთი ორთაბრძოლისას დაშავდა. ამ დროს ანგარიში 1:0 გახლდათ მასპინძელთა სასარგებლოდ. 22-ე წუთზე „ეტოილი“ იაზირიმ დააწინაურა. გერმანელებმა მატჩის ხსნა თამაშის მიწურულსღა მოახერხეს, 82-ე წუთზე ვასმერის დარტყმულმა მიზანს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ შეხვედრას, რომელიც 30 ათას მცხოვრებიან ქალაქ სუსში გაიმართა, 39 გრადუსი სიცხის მიუხედავად, 28 ათასი (!) ქომაგი დაესწრო. „ფრაიბურგისადმი“ ასეთი დიდი ინტერესი უპირველეს ყოვლისა იმან გამოიწვია, რომ გუნდში ოთხი ტუნისელი ფეხბურთელია. ბაია, გიუნეში, სელიმი და ბენ სლიმანი მეორე წელია, „ფრაიბურგის“ ღირსებას იცავენ. სხვათა შორის, ბაია ფეხბურთელად სწორედ „ეტოილში“ ჩამოყალიბდა და „ფრაიბურგშიც“ იქიდან გადავიდა. „ეტოილის“ წინააღმდეგ ფინკემ ოთხივე ძირითად შემადგენლობაში ათამაშა.

მეორე მატჩში „ფრაიბურგი“ ასევე უმაღლესი დივიზიონის „სტად ტუნისს“ შეხვდა. ამ შეხვედრაში კობიაშვილს არ უთამაშია. მიზეზი პირველ შეხვედრაში მიღებული მსუბუქი ტრავმა გახლდათ. მისი ადგილი მარცხენა ფლანგზე კვლავ ცქიტიშვილმა დაიკავა. ანგარიში სტუმართა ახალწვეულმა, „ოლდენბურგიდან“ გადმოყვანილმა ფლორიან ბრუნსმა გახსნა. თუმცა „სტად ტუნისმა“ მალევე გაათანაბრა. „ფრაიბურგს“ ბოლო წუთებზე კვლავ უვე ვასმერმა უშველა, რომელმაც 84-ე წუთზე მეტოქეს გადამწყვეტი გოლი გაუტანა.

გერმანიაში დაბრუნებულმა ფინკემ ტუნისში მოგზაურობით კმაყოფილება გამოთქვა. „საკმაოდ კარგი მოწინააღმდეგეები გვყავდა, ეს მატჩები შეთამაშების მხრივ ძალიან წაგვადგება, თანაც სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დამუშავების შესაძლებლობაც მომეცა“ — განუცხადა მწვრთნელმა ჟურნალისტებს.

გუშინწინ „ფრაიბურგმა“ კიდევ ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა — გერმანულ სამოყვარულო კლუბ „ნოიშტადტს“, რაც ქართულად ახალქალაქს ნიშნავს, 4:0 მოუგო.

მორიგ მატჩს „ფრაიბურგი“ დღეს გამართავს. საკუთარ მინდორზე გერმანელები ავსტრიის ჩემპიონ „შტურმს“ მიიღებენ.

**ვანო ოქროპირიძე**

# დოლიძე კიკეთშია, პრეზიდენტი — ლოდინში



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გუბაზ დოლიძე (მარჯვნივ) შესაძლოა სოსო ფრუიძეს და „იბერიას“ დაუბრუნდეს

სამტრედიის „იბერიამ“ ვარჯიში რა ხანია, დაიწყო. ამ ხნის მანძილზე გუნდთან ერთად არ ემზადებოდნენ მეკარე გუბაზ დოლიძე და მცველი გივი ქველაძე. მწვრთნელი სოსო ფრუიძე და კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლეიშვილი გვარწმუნებდნენ, დოლიძემაც და ქველაძემაც დატოვეს „იბერია“, თბილისში აპირებდნენ თამაშის გაგრძელებას, რომელ გუნდში არ ვიცითო.

მართლაც დღემდე ორივე ინდივიდუალურად ემზადებოდა, რათა სათამაშო ფორმა შეენარჩუნებინა.

გუშინ „სარბიელი“ გუბაზ დოლიძეს კიკეთში დაუკავშირდა.

— კონტაქტი არავისთან მქონია, არავინ შემხმიანებია. ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვვარჯიშობ დიღომში, კალათბურთელთა ბაზაზე. არაა გამორიცხული, კვლავ „იბერიაში“ დავბრუნდე. კლუბის პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლეიშვილს ორი დღის წინ ვესაუბრე, რა გამოვა აქედან, არ ვიცი — გვითხრა მეკარემ.

ესეც ასე. თუ დოლიძე მართლა „იბერიაში“ დაბრუნდა, სამტრედიელები, ალბათ, ძალიანაც გაიხარებენ, გასული სეზონის ცხრათვიანმა მომქანცველმა მარათონმა ხომ სწორედ დოლიძის ზურგზე გადაიარა.

მეკარეს მისსავე ბედში მყოფ ქველაძეზეც დავეკითხეთ. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გივი, მგონი, „მერანში“ აპირებდა ვარჯიშის დაწყებასო, გვიპასუხა.

თუ პრეზიდენტი ნიკოლეიშვილი დოლიძის დარად ქველაძესაც დაელაპარაკება, ვინ იცის, ეგებ ორივე ერთად დაიყაბულოს. ვნახოთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




წლევანდელი ამსტერდამის „აიაქსი“

# აიაქსის განაცხადში ქინქლაძე აღარ არის



გიორგი ქინქლაძე

ნიუ იორკიდან მობრუნებული ამსტერდამის „აიაქსის“ თავკაცმა იან ვოუტერსმა დაასახელა საბოლოო შემადგენლობა, რომლითაც „აიაქსი“ 1999-2000 წლების საფეხბურთო სეზონში იასპარეზებს.

ვოუტერსის გადაწყვეტილებით, განაცხადში ვერ მოხვდა „აიაქსის“ ისტორიაში ყველაზე ძვირად შეძენილი ქართველი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე. მიუხედავად იმისა, რომ ქინქლაძე ჯერ არავის უყიდია (ქართველი კარგა ხანია, ტრანსფერზეა დაყენებული), იგი „აიაქსის“ შემადგენლობიდან ამოაგდეს. ვოუტერსის გადაწყვეტილება სრულად გაუზიარებია კლუბის ხელმძღვანელობას, რომელიც, უკანასკნელი ინფორმაციით, თანახმაა, 5,5 მილიონ ფუნტად შეძენილი ფეხბურთელი 3 მილიონად გაყიდოს.

სამწუხაროა, რომ ქინქლაძე ერთადერთი ფეხბურთელი აღმოჩნდა „აიაქსის“ შარშანდელი შემადგენლობიდან, რომელიც ჯერ კიდევ კლუბის საკუთრებაა და ასე უცერემონიოდ გამოიყვანეს შემადგენლობიდან.

ქინქლაძის გარდა შარშანდელი „აიაქსიდან“ 20 ფეხბურთელი(!) წავიდა და ახლა ყველა ახალ კლუბებში ემზადება.

ვოუტერსმა მათ მაგივრად 13 ახალი მოთამაშე მიიწვია. ყველაზე მნიშვნელოვან შენაძენად უმცროსს ლაუდრუპს (კოპენჰაგენი), მახლასს (ვიტესი) და ვინტერს (ინტერი) მიიჩნევენ. როტერდამის „სპარტადან“ გადაიყვანეს ნიუ ვან ბერგი. ახალ სეზონში „აიაქსში“ ითამაშებს მახლასის შარშანდელი პარტნიორი რეისერი. „ტენერიფედან“ მიიპატიჟეს ვირკლი, „ტვენტედან“ და „უტრეხტიდან“ — ვან ჰელსტი და ობრანი, „შტუტგარტიდან“ — გერმანელი მცველი ვერლაატი, „აიაქსი 2“-დან მთავარ გუნდში ორი კაცი აღმოჩნდა: რობსონი და პიქუე. „ლიერსიდან“ კლუბს დაუბრუნდა მეკარე სტენლი მენცო. ორი შენაძენი კი აფრიკულ-ავსტრალიურია. სამხრეთ აფრიკის „მიმოსისიდან“ „აიაქსმა“ იკედია იყიდა, ხოლო „სიდნეი ოლიმპიკიდან“ — კულინა.

ახალ სეზონში შოთა არველაძე კვლავ 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

**სიმონ მენაბდე**

# აიაქსს ქინქლაძეში 2 მილიონი ეცოტავა

## პორტსმუთი მეტის გადახდაზეც ფიქრობს და გიოს კვირაში 20000 ფუნტს სთავაზობს



*გუშინ ინგლისურმა მედიამ პირველდივიზიონელი „პორტსმუთის“ „აიაქსის“ ქართველ ნახევარმცველზე ნადირობის აქამდე დაფარული დეტალები შეიტყო. გუნშინვე გუნდის პრეზიდენტმა მილან მანდარიქსმა დაადასტურა, რომ ქინქლაძის გადაბირებას ზაფხულის დასაწყისიდან ცდილობს. „აიაქსს“ 2000000 გირვანქაც შევთავაზეთ, მაგრამ ეცოტავა. ამის მიუხედავად ჩვენ ჩვენსას მაინც მივაღწევთ“ — დარწმუნებულია მანდარიქსი.*

1898 წელს დაარსებული „პორტსმუთის“ პრეზიდენტს „უდიდესი ფეხბურთელის“ (მისივე სიტყვებია) „ფრეთონ პარკზე“ გადაყვანა გაზაფხულის ბოლოდან ამოუჭრია გულში. „მეინ როუდზე“ „სიტის“ რიგებში რამდენჯერმე მინახავს ქართველის თამაში და ყოველთვის აღფრთოვანებული დავრჩენილვარ. ძალიან მოწადინებული ვარ, რომ ქინქი პორტსმუთის რიგებში ვიხილო“ — განუცხადა გუშინ მილან მანდარიქსმა ჟურნალისტებს და ამით დაადასტურა „პოტსმუთის“ გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ქინქი „ფრეთონ პარკზე“ გადაიყვანონ.

„ ამ ზაფხულს ორჯერ შევთავაზეთ „აიაქსს“, ქართველი ჩვენთვის მოეყიდა. ბოლოს 2 მილიონი გირვანქა შევაძლიეთ, მაგრამ ჰოლანდიელებს ეს თანხა ეცოტავათ“ — თქვა მანდარიქსმა.

„აიაქსმა“ ქინქლაძე 5 500 000 გირვანქად ანუ 8,5 მილიონ დოლარად იყიდა.

მოლაპარაკებებში აქტიურად (მანდარიქსის შემდეგ) „პორტსმუთის“ მწვრთნელი ალან ბოლიცაა ჩართული, კაცი, რომელიც ქინქლაძისდროინდელ „მანჩესტერ სიტის“ წვრთნიდა. „ჩვენ შევთანხმდით, რომ არ გაგვეხმაურებინა ეს ამბავი, ვიდრე ყველაფერი ნათელი არ იქნებოდა. მეც და გიორგიმაც რამდენჯერმე ამიტომაც ვუარვყავით, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა“ — თქვა ბოლმა, რომელიც „პორტსმუთს“ 1984-89 წლებშიც წვრთნიდა.

ქინქლაძე და ბოლი ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. „მას ჩვენთვის საბოლოო პასუხი არ გაუცია, თუმცა „პორტსმუთსა“ და „აიაქსს“ შორის მოლაპარაკებებს წინაც არ აღდგომია“ — თქვა ბოლმა.

გუშინვე „პორტსმუთმა“ ოფიციალურად განაცხადა, რომ — მილიონ გირ-



ალან ბოლი

ვანქაზე მეტის გადამხდელიც არის, ქინქლაძეს კი კვირაში 20 000 გირვანქას გადაუხდის (გიო „აიაქსში კვირაში 38 000 გირვანქას იღებდა).

ამ საკითხის გადაწყვეტა მარტო „აიაქსზე“ არ არის დამოკიდებული. ჯერჯერობით ქინქლაძეც ფიქრობს.

გიო გუშინ „ევერტონი“ — „სიტის“ საკონტროლო მატჩს დაესწრო, რომელიც ლივერპულელებმა 1:0 მოიგეს. საინტერესოა, რომ ქართველს წინა ხუთშაბათს დაგეგმილი პრესკონფერენცია არ ჩაუტარებია, სადაც „პორიტსმუთში“ გადასვლის შესაძლებლობა უნდა გამოერიცხა.

ძნელია იმის თქმა, საბოლოოდ როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა ერთი კი ფაქტია — „ლივერპულს“, „მიდლსბროს“, „ევერტონს“, „ტოტენჰემს“ და „სელტიკს“ ქინქლაძე აღარ აინტერესებთ. გიოს მსურველი მხოლოდ „პორტსმუთია“. საინტერესოა, რომ ოთხი წლის წინ „სიტიმ“ სტუმრად 3:1 მოუგო „პორტსმუთს“ და ერთი გოლი ქინქლაძემაც გაიტანა.

**სიმონ მენაბდე**

# ქებაძე ხურცილავას შერჩა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან ქებაძე

თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ლევან ქებაძემ ჩემდაუნებურად ქართული ხალხური სიმღერა — „ცანგალა და გოგონა“ გამახსენა. ეს ბიჭი კარგად თამაშობს, ფეხის წვერებზე დგება...

ლევანს ცეკვა მართლაც კარგად ეხერხება. ამასწინათ რესტორან „ბერიკონში“ X ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოებისას აჭარულმა „განდაგანამ“ ქებაძის შესრულებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელ ქართველ ფეხბურთელებში ქებაძის დარი მოცეკვავე არ არის, თუმცა, ვატყობ, თემას გადავუხვიე.

...არადა, იყო იმედი. ლევან ქებაძის სახით ქართულ ფეხბურთს ერთ-ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა ეზრდებაო. ეს იყო მაშინ, როცა ლევანი ქუთაისის „ტორპედოში“ „დაფრინავდა“, მერე იგი ჩემპიონმა, „დინამომ“ მიიწვია და... მანაც ვერა და ვერ ააწყო თამაში, ძირითადში მოხვედრა ძალიან გაუჭირდა.

...ქებაძე „დინამოს“ ჰოლანდიასა და გერმანიაშიც გაჰყვა შეკრებაზე და მოახლოებული სეზონისთვის ნაყოფიერადაც მოემზადა, მაგრამ იოჰან ბოსკამპმა თავაზიანად უთხრა, ბოდიში, გუნდის სათამაშო სქემაში ვერ ჯდებიო.

და ისიც გერმანიიდან ვალტერ გუჩუასთან ერთად დაბრუნდა, უქმად ყოფნა თავში აზრადაც არ მოსვლია და იქვე, დიღმის საწვრთნელი ბაზის გვერდზე, „ლოკომოტივის“ ბაზაზე გადაბარგდა, მურთაზ ხურცილავასთან მივიდა „ლოკომოტივში“, რკინიგზელები კი ყვავილნარში, შეკრებაზე წასავლელად გაემზადნენ... ქებაძეც თან იახლეს:

— ბოსკამპმა რომ მითხრა, ჩემს ტაქტიკას ვერ ერგებიო, მივხვდი, რაშიც იყო საქმე და არც მიფიქრია მყისვე „ლოკომოტივში“ გავეშურე, გუნდი ყვავილნარში მიდიოდა. ჯერჯერობით „ლოკომოტივთან“ ვვარჯიშობ, როგორც ვატყობ, არც ხურცილავა არის ჩემდამი გულგრილად. კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია, მაგრამ ის ვიცი, გუნდს უეფას თასზე წარმატებული თამაშისთვის დავეხმარები, არაფერს დავიშურებ და ჩემპიონატის პირველ წრესაც აქ გავატარებ, მერე კი ალბათ უცხოეთში, კერძოდ რუსეთში წავალ. რუსული გუნდების ვარიანტი მანამდეც მქონდა, მაგრამ ჯერ ასე მიჯობს, ჩემს მენეჯერსაც ვუთხარი ამის შესახებ. რამდენადაც ვიცი, პირველი ლიგის რუსულ გუნდებზე იყო საუბარი, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია, ამაზე აგენტი მუშაობს — გვითხრა გუშინ ექსდინამოელმა ლევან ქებაძემ, როდესაც მას ყვავილნარში ტელეფონით დავუკავშირდით.

**გიორგი ვაშაძიძე**

# სამტრედიელთა გეგმები

სამტრედიის „იბერია“ ბათუმელებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ დიდ ჯიხაიშში დაბრუნდა და კარზე მომდგარი XI ჩემპიონატისთვის ემზადება.

„ბათუმთან“ 1:5 განადგურებამ სრულად წარმოაჩინა გუნდის ნაკლოვანებები და სამტრედიელთა მწვრთნელი სოსო ფრუიძეც ყველანაირად ცდილობს მათ აღმოფხვრას. „იბერიაში“ რომ ახალწვეულები საკმაოზე მეტად იყვნენ, ალბათ, გეცოდინებათ. ჰოდა, ფრუიძემაც აწონ-დაწონა, დასარჩენი გუნდში დატოვა, დანარჩენები კი...

გადაწყვეტილია, რომ „იბერიაში“ დარჩებიან ომარ მეტრეველი, ბიწაძე, გელაშვილი, გივი ჯანელიძე, ხმალაძე, ოდიკაძე, ადეიშვილი და ლანჩხუთის „გურიიდან“საკუთარი ნებით მისული მეკარე გიორგი ნიკურაძე.

ალბათ, იცით, „იბერია“ 1 აგვისტოდან ქვიშხეთში უნდა მომზადებულიყო, მაგრამ შესაძლოა ეს ათდღიანი შეკრება ჩაიშალოს. მიზეზი ჯერჯერობით ფინანსების უქონლობაა.

3-დან 7 აგვისტომდე დაგეგმილია ოთხთა ტურნირის, უფრო სწორად, უშანგი სალდაძის სახელობის თასის გათამაშების ჩატარება, სადაც პრიზს ოთხი იმერული კლუბი — სამტრედიის „იბერია“ წყალტუბოს „სამგურალი“, ზესტაფონის „მარგვეთი“ და ვანის „სულორი“ გაითამაშებენ. თუ სამტრედიელთა ქვიშხეთში წასვლა მოხერხდა, მაშინ ტურნირზე „იბერია“ მეორე გუნდით ითამაშებს.

ამასობაში კი სამტრედიელებმა საკონტროლო მატჩებისთვის სპარინგპარტნიორები შეიგულეს. დღეს ისინი „ფაზისზე“ კიდევ ერთხელ ეთამაშებიან ფოთის „კოლხეთს“. უახლოეს მომავალში ხელმეორედ დაუპირისპირდებიან „ბათუმს“ და ისიც ზღვისპირეთში, შეითანხმეს წყალტუბოს „სამგურალიც“. აი, ზუგდიდის „ოდიში“ კი 10 აგვისტოს თავად ეწვევა სამტრედიას და „ეროსი მანჯგალაძეზე“ „იბერიას“ შეხვდება.

**გიორგი ვაშაძიძე**

# ზაზა რევიშვილი კრანკლს დაუბრუნდა

საქართველოს ნაკრების ყოფილ მცველ ზაზა რევიშვილს ავსტრიაში დაბრუნება მოუწევს. პოლონეთის გკს-სა და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ნათამაშევმა რევიშვილმა შარშანდელი სეზონი ბელგიის მეორე დივიზიონის „მოლენბეკში“ გაატარა. ზაზამ პირველი წრე სტაბილურად ჩაატარა, მეორეში კი აღარ უთამაშია.

ახალი სეზონისთვის რევიშვილი ისევ ავსტრიული „ზალცბურგის“ საკუთრებაა, რომელსაც ქართველი ბელგიაში იჯარით ჰყავდა განათხოვრებული.

ახლა „ზალცბურგს“ ლეგენდარული ჰანს კრანკლი წვრთნის. მოსამზადებელ პერიოდში „ზალცბურგმა“ 1:1 ითამაშა „მალიორკასთან“, 2:1 მოუგო „ლინცერს“ და 0:0 დაუზავდა „დენ გაკს“.

ავსტრიის წლევანდელ ჩემპიონატში კი „ზალცბურგი“ 5 ტურის შემდეგ 7 ქულით მეექვსე ადგილზეა.

**სიმონ მენაბდე**



# კახა კალაძე: შუკერის ჩამოსვლა ჭორი მგონია



კახა კალაძის კიევის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის პირველ წრეში ვილნიუსის „ჟალგირისს“ უმასპინძლა და უზბეკი ლეგიონერის, შაცკიხის დუბლის წყალობით 2:0 იმარჯვა. უკრაინის ჩემპიონმა შაცკიხი სულ ახლახან შეიძინა კალინინგრადის „ბალტიკასგან“. არადა, ეს ფეხბურთელი მოსკოვის „სპარტაკშიც“ იმყოფებოდა გასინჯვაზე. რუსეთის ჩემპიონებმა რატომღაც იუარეს მისი აყვანა. გუშინწინ, შაცკიხის გატანილი გოლების ამბავი რომ შეიტყვეს, საფეხბურთო ტელეარხის — „ნტვ პლუსის“ ჟურნალისტებმა ირონიული ტონით მიანიშნეს „სპარტაკის“ ხელმძღვანელებს, შეცდით, უზბეკი ფორვარდი რომ დაიწუნეთო.

მოკლედ, კიევის „დინამოს“ თავკაცმა ვალერი ლობანოვსკიმ იცის თავისი საქმე. მოგეხსენებათ, უკრაინელებმა წლეულს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს, მაგრამ სასელექციო საქმიანობასაც წარმატებით ეწევიან.

გუშინ კიევში მყოფ კახა კალაძეს დავუკავშირდით და „ჟალგირისთან“ შეხვედრის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ:

— როგორ გითხრათ, მთელი 90 წუთი სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ვფლობდით. ბევრი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თორემ უფრო დიდი ანგარიშით მოვიგებდით.

**— შაცკიხზე რას გვეტყვით?**

— ერთი თამაშით მსჯელობა ძნელია. ისე, ძალიან პერსპექტიული ბიჭი ჩანს. შემთხვევით ორი ბურთის გატანა წარმოუდგენელია.

**— უკრაინელი ჟურნალისტები გერმანელ იანკერს ადარებენ.**

— ასეთ შეხედულებას ვერ გავიზიარებ. ვფიქრობ, სულ სხვა სტილის თავდამსხმელია.

**— ლობანოვსკიმ რა დავალება მოგცათ?**

— ძველებურად მარცხნივ გამამწესა. მთელი ფლანგის კონტროლი მევალებოდა.

**— მეტოქეზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— მთელი თავით ვჯობდით. ისე, ლიტველები ძალიან ხისტად გვეთამაშებოდნენ.

**— მსაჯმა კი თქვენ გაგაფრთხილათ...**

— ინგლისელებმა ძალიან ცუდად გვიმსაჯეს. ჩემს გარდა კიდევ სამ თანაგუნდელს აუფრიალეს ყვითელი ბარათი. რისთვის, ვერ გამიგია. აშკარად „ჟალგირისის“ სასარგებლოდ მოქმედებდნენ.

**— პირველ გოლში მიგიღიათ მონაწილეობა.**

— კი. ფლანგიდან წამოვიწყე შეტევა და ბურთი იაშკინს გადავაწოდე. მის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულზე კი შაცკიხმა დაასწრო მეტოქე მცველებს და ანგარიშიც გახსნა.

**— საპასუხო მატჩის წინ შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი ვილნიუსში გადაწყდება.

**— ახლა ბევრს ლაპარაკობენ კიევის „დინამოში“ ხორვატი დავორ შუკერის შესაძლო გადასვლაზე.**

— მე მაინც ჭორი მგონია. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ გუნდში არავის არაფერი უთქვამს.

**— არც ნიგერიელი გწვევიათ?**

— მასეთი „დინამოში“ არავინ მოსულა.

**— შევჩენკოსა და ლუჟნის გარეშე არ გიჭირთ?**

— შევჩენკო მართლაც დიდი ძალა იყო ჩვენთვის. თუმცა გუნდი ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

**— შესარჩევ მატჩებს ახალი ფორმებით შეხვდით...**

— ჰო, ისევ „ადიდასი“ გვმოსავს.

**— მიხეილ ფოცხვერიასა და ვიტალი დარასელიასი ხომ არაფერი იცით?**

— სამწუხაროდ, მათთან კონტაქტი არ მქონია. ძალიან მოუცლელი ვარ.

**— თბილისის „დინამოს“ ამბებს გაიგებდით...**

— რა თქმა უნდა. ყველაფერი დაწვრილებით შევიტყვე და ძალიან გამიხარდა.

**— თუ „ჟალგირისის“ ბარიერი დაძლიეთ, დანიურ „ოლბორგთან“ თამაშების წინ რაიმე განსაკუთრებულ შეკრებას ხომ არ გეგმავთ?**

— არა. როგორც იცით, უკრაინაში სეზონი დაიწყო და ჩვენც საჩემპიონატო ბატალიებში ვართ ჩართული.

ხვიჩა სანიკიძე

## შეყილაძის ლიერსმა პახარსის საუთჰემპტონი დაამარცხა

ბელგიის თასის მფლობელი „ლიერსის“ ქართველი მცველი, 29 წლის გელა შეყილაძე ბელგიაში დატოვებას გადარჩა.

ვიზის პრობლემის გამო „ლიერსის“ ქუთაისის „ტორპედოსთან“ შეხვედრის შემდეგ ბელგიურ პრესაში უკვე იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეყილაძე „ლიერსს“ ინგლისში ვერ გაჰყვებოდა.

თუმცა კლუბმა ქართველს ბოლო წუთს მოუგვარა ვიზის პრობლემა და ლატვიელი მარიან პახარსის „საუთჰემპტონის“ წინააღმდეგ შეყილაძემაც ითამაშა.

ბელგიურმა „ლიერსმა“, ამასწინათ ქუთაისის „ტორპედოს“ 1:1 რომ დაუზავდა, „საუთჰემპტონთან 90-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვა.

სიმონ მენაბდე

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| დინამო<br>*იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), ქებაძე (ლოკომოტივი) მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე, გოგიჩაიშვილი (?) | ს. გიგაძე, ვ. გიგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია), დონდეტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ბათიაშვილი, ქემოკლიძე, გ. მიქაძე, ო. გველესიანი, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდენი (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტაინ ვეგი (ჰოლანდია) 2:1, კოლმარნოკი (ჰოლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| ლოკომოტივი<br>*მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშ-ვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშური, ვ. კილასონია შ. ხუჯაძე (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა), რუსია (ბათუმი), ქებაძე (დინამო) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, კოლხეთი 2:1, 2:0 |
| ბათუმი<br>*ჟანო კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულევჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1 |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოლუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4, ცხინვალი 3:2 |
| არსენალი<br>*დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| სამგურალი<br>*რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია (?) | ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე (სამგურალი-2) | ტორპედო 0:3 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | დ. ჩიგოშვილი (ლარნყალი), ფოფხაძე (ივერია), დათვაძე (ლარნყალი) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0 |
| თბილისი<br>*ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი), ბათიაშვილი ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ლ. ბერიშვილი (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზეარიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლიერსი (ბელგია) 1:1, ირონი (რიშონი, ისრაელი) 3:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯლარკავა, მაკალათია (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2, 0:2 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ბ. ამბიძე (?, ისრაელი), გ. კვეტენაძე, დ. ჭელიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი, ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | სგიგიაძე, ვ. გიგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოლუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე, გ. დოლიძე, ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე, თ. მაღლაკელიძე (ფაზისი), ჟვანია (ოკეანე), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიჟარაძე (გურია) | კოლხეთი 0:3, ლოკომოტივი 0:0, ოდიში 1:1, ბათუმი 1:5 |
| დილა<br>*მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), რ. ახალკაცი (?, ვარნა, ბულგარეთი) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| თსუ<br>*კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | ახალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნივა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6 |
| ხობი<br>*ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

CHAMPIONS LEAGUE

# ბევრი არაფერი გარკვეულა

## ჩემპიონთა თასის II შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩები


REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — რიეკა 3:1. პარტიზანელმა იგორ დულიაიმ (მარცხნივ) რიეკელ იასმინ აგიჩს აჯობა

**ჩემპიონთა** ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე დაპირისპირებული წყვილებიდან ყველაზე დიდ ინტერესს იუგოსლავიის ჩემპიონ ბელგრადის „პარტიზანისა“ და ხორვატული „რიეკას“ მატჩი იწვევდა.

ასეც მოხდა. ერთ დროს თანამემამულეებმა პოლიტიკის დარად არც მინდორზე დაუთმეს ერთმანეთს.

მატჩი თავიდანვე დაძაბულად დაიწყო, თუმცა იუგოსლავიელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა, რაც მე-10 წუთზე პარტიზანელთა კაპიტან საშა ილიჩის გატანილ გოლშიც აისახა. შემდგომ თამაში დაწყნარდა, მაგრამ ჩანდა, რომ ეს ანგარიში არც ერთ გუნდს ხელს არ აძლევდა.

22-ე წუთზე კვლავ იუგოსლავიელების შეტევა და მლადენ კრსტაჯიჩმა ანგარიში გაზარდა — 2:0. ამის შემდეგ მინდორზე აღსანიშნავი არაფერი მომხდარა და პირველი ტაიმიც ამ შედეგით დასრულდა.

დაიწყო თუ არა მატჩის მეორე ნახევარი, „რიეკამ“ მოწინააღმდეგის კარისკენ რამდენიმე იერიში მიიტანა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ბარნაბას სტიპანოვიჩის 56-ე წუთზე გატანილი გოლით დასრულდა.

ამის შემდეგ „პარტიზანი“ ერთი პირობა დაიბნა, რაც არაზუსტ გადაცემებშიც აისახა, მაგრამ მალევე მოეგნენ გონს და მეტოქე გუნდი საჯარიმო ხაზთან მიაჯაჭვეს.

ამ დროს არც ხორვატები მსხდარან უქმად. ისინი იუგთა შეტევებს მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ, რომელთაგანც რამდენიმე კინაღამ გოლით დასრულდა, მაგრამ უმეტესწილად ისინი ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ.

მე-80 წუთიდან დაიწყო „პარტიზანის“ გააფთრებული შეტევები, თუმცა ხან თვითონ იუგოსლავიელები სცოდავდნენ, ხანაც იღბალი არ უწყობდათ ხელს. მიუხედავად ამისა, ბელგრადელებს მაინც გაუმართლათ.

თამაშის დამთავრებას სულ რაღაც 5 წუთი აკლდა, როცა იმავე კრსტაჯიჩმა ხორვატთა მეკარე ჯონი ტაფრა აიძულა, ბურთი კარიდან გამოეტანა — 3:1. შეხვედრაც ასე დასრულდა.

მატჩის გმირი დუბლის შემსრულებელი მლადენ კრსტაჯიჩი შეიქნა, რომელიც გულშემატკივრებს საპასუხო მატჩშიც გოლს შეჰპირდა.

კიევის „დინამოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისის“ ორრაუნდიან ბრძოლაში, რა თქმა უნდა, უკრაინელებს ყველა უპირობო ფავორიტებად მიიჩნევდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. ანდრეი შევჩენკოს წასვლით ერთგვარად შესუსტებულმა „დინამომ“ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე დაამარცხა „ჟალგირისი“ — 2:0. ორივე გატანილი ბურთი მაქსიმ შატსკიხის ანგარიშზეა. მან 37-ე და 78-ე წუთებზე დალაშქრა ბალტიისპირელთა კარი.

ლიტველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ მოწინააღმდეგეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა.

მოსკოვურ მატჩში, სადაც ერთმანეთს რუსეთისა და ნორვეგიის ვიცე-ჩემპიონები ხვდებოდნენ, შესაბამისად ცსკა და „მოლდე“, ფავორიტად არც ერთი კლუბი არ ითვლებოდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ პირველ შეხვედრაში უპირატესობა სლავთა მხარეს იქნებოდა.

ქართველ გულშემატკივართათვის კარგად ნაცნობმა „მოლდემ“ ვერ დატოვა დიდი შთაბეჭდილება და თუ მეორე შეხვედრაშიც ამგვარად იასპარეზა, მაშინ შემდეგი ეტაპის საგზურს უეჭველად ცსკა დაისაკუთრებს.

მოსკოველებმა ოლეგ შიშკინისა და დიმიტრი ხომუხას მიერ გატანილი გოლებით 2:0 სძლიეს სკანდინავიელებს, თუმცა რიგიანად რომ ეთამაშათ, მეტის გატანაც შეეძლოთ.

მრავალი გულშემატკივარი ელოდა, რომ ფინური ჰაკა წლეულს რაიმე სიურპრიზს მოახდენდა. ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზებიც აქვს. შარშან ფინეთის ჩემპიონი ჰაკი სულაც ჩემპიონთა ლიგის ქვეჯგუფში მოხვდა, ახლა კი ჰაკას მოწინააღმდეგე გაცილებით მასზე ძლიერი და სახელოვანი, მაგრამ გლაზგოს „რეინჯერსია“, რომლის არასტაბილური თამაში ევროთასებზე ყველას კარგად ახსოვს.

არავითარი სიურპრიზი არ შედგა. „რეინჯერსმა“ ფინელებს ოთხი გოლი გაუტანა მაშინ, როცა თავის კარში მხოლოდ ერთი მიიღო. ამ შედეგიდან გამომდინარე, შოტლანდიელები, ალბათ, გავლენ შემდეგ ეტაპზე, სადაც მათი მოწინააღმდეგე გასულ სეზონში უეფას თასის მომგები „პარმა“ იქნება.

სულ რამდენიმე კვირის წინ ბუქარესტის „რაპიდი“ თბილისის „დინამოს“ ამხანაგურად გაეჯიბრა. მატჩი ჩვენებურთა დამარცხებით 1:2 დასრულდა. გუშინწინ რუმინელებს კიდევ ერთმა ქართველმა შეახსენა თავი, რომელმაც მათ ორი გოლი გაუტანა. იგი რიგის „სკონტოში“ მოასპარეზე დავით ჩალაძე გახლდათ.

მატჩი თანაბარი უპირატესობით წარიმართა. ჯერ ბუქარესტელები დაწინაურდნენ, მაგრამ ჩალაძის წყალობით რიგელებმა მოახერხეს და პირველი ტაიმი მოიგეს.

მეორე ნახევარშიც არაფერი შეცვლილა. „რაპიდმა“ აღადგინა წონასწორობა, თუმცა „სკონტო“ ასტაფიევის 65-ე წუთზე გატანილი ბურთით ისევ წინ გავიდა. ამის შემდეგ არ გასულა 8 წუთი და მუტაცამ ანგარიში გაათანაბრა. რუმინელის ეს გოლი ამ თამაშში საბოლოო აღმოჩნდა და მატჩიც ამ შედეგით დასრულდა 3:3.

სლოვენიური „მარიბორი“ ბელგიურ „გენკს“ მასპინძლობდა. ერთი შეხედვით თანაბარი ძალის გუნდებმა შეხვედრა სენსაციური ანგარიშით დაამთავრეს.

„მარიბორმა“ ბელგიის მეორეადგილოსანი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაასამტვერა, მათ 5:1 მოიგეს და შემდეგ ეტაპზეც, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ალბათ, ისინი იასპარეზებენ.

მაშ ასე, დასრულდა ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის პირველი ტური. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში განმეორებით მატჩებს ინტრიგა ნამდვილად არ დაუკარგავთ, მითუმეტეს ჩვენთვის, რადგან თბილისის „დინამოს“ მინიმალური ანგარიშით — 2:1 გამარჯვება ჩვენს ჩემპიონებს დამშვიდების საშუალებას ნამდვილად არ აძლევს.

**კობა ჩხაიძე**


REUTERS სკოპიედან

სლოგა იუგომაგნატი — ბრონდბიუ 0:1. დანიელი მარტინ სმიტისა და მაკედონიელი ზორან მისერდოვსკის (მარცხნივ) ორთაბრძოლა

### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ჩელსიდან“ დანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ბერნ გოლდბეკი შესაძლოა „ნოტინგემ ფორესტში“ გადავიდეს. თუ გარიგება შედგა, მაშინ გოლდბეკში, რომელიც ლონდონელებმა შარშან ნოემბერს 300 ათას გირვანქად „კოპენჰაგენისგან“ შეიძინეს, ნოტინგემელები 1,5 მილიონ გირვანქას გაიღებენ. „ჯანლუკა ვიალისთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ჯერ კიდევ „იუვენტუსში“ თამაშისას ვმეგობრობდი მასთან. ჩვენ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას მხოლოდ ფორმალური მხარეღა დარჩა მოსაგვარებელი“ — განაცხადა „ნოტინგემის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, წარსულში ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ პლატმა. შეგახსენებთ, რომ გოლდბეკი „კოპენჰაგენამდე“ გერმანულ „ვერდერში“ თამაშობდა და 1994 წელს გერმანიის თასი აქვს მოგებული ბრემენელებთან ერთად.

**ბელგიის „ბრიუგეს“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა „ანდერლეხტს“, რათა ამ უკანასკნელმა მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ კლუბების 12 სექტემბრის მატჩის უსაფრთხოება. ძველი მეტოქეების დაპირისპირება ყოველთვის დიდი დაძაბულობით გამოირჩევა. შარშან იანვარში მათი შეხვედრისას რამდენიმე გულშემატკივარმა ბელგიელ პოლიციელებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა, რის შედეგადაც სამი სამართალდამცავი დაშავდა, მათ შორის ერთი ძალიან მძიმედ.**

**რუმინეთის** ეროვნული ნაკრების მცველ ფლორინ ბატრინუ ბუქარესტის „დინამოდან“ პორტუგალიურ „ლეირიაში“ გადაბარგდა. ფეხბურთელმა, რომლის სანაცვლოდაც პორტუგალიელებმა 250 ათასი დოლარი გაიღეს, ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, თუ ბატრინაუ, რომელსაც რუმინეთის ეროვნული ნაკრების ღირსება ექვსჯერ დაუცავს, „ლეირიადან“ სხვა გუნდში გადავა, მაშინ ბუქარესტელები მისი სატრანსფერო თანხის 20 პროცენტს მიიღებენ.

**კანადაში მიმდინარე პანამერიკულ თამაშებზე მასპინძელთა ნაკრები გვატემალის ეროვნულ გუნდს ეთამაშა და 2:1 დაამარცხა. ეს შეხვედრა იმით გამოირჩა, რომ მოედნიდან სამი გვატემალელი ფეხბურთელი მწვრთნელითურთ და კანადელთა თავკაცი ბრიუს ტუამლეი გააძევეს. პირველი ტაიმის 33-ე წუთიდან ჩრდილოამერიკელები უკვე რვაკაციან გუნდს ეთამაშებოდნენ. მანამდე კი ამერიკელმა არბიტრმა მოედანი ზედიზედ დაატოვებინა დენის ჩენს, მერლოს სოსას და კარლოს რუიზს. მათ ორივე ნაკრების მთავარ მწვრთნელი მიჰყვა მსაჯთან გაუთავებელი კამათის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ არბიტრმა კანადელ პოლიციელთა თანხლებით დატოვა მოედანი. „ვერ გავიგე, რას აკეთებდა მსაჯი. ვგონებ, იგი რომ არ ყოფილიყო, მატჩი უკეთესად ჩაივლიდა. პირადად მე ასეთი დაბალი კვალიფიკაციის არბიტრი არსად მინახავს“ — უთხრა გაძევებულმა ტუამლეიმ შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს.**

**საფრანგეთის** ვიცე-ჩემპიონის, მარსელის „ოლიმპიკის“ მცველი პატრიკ ბლონდო თავის კლუბს ახალი სეზონის დაწყებიდანვე დაეხმარება. ბლონდომ მთლიანად მოიშუშა ორი თვის წინ ნანტელ ივ დეროფთან შეტაკებისას მიღებული ტრავმა და ახლა სრულ მზადყოფნაშია.

# დიადი მათეუსი



გერმანია — ახალი ზელანდია 2:0. გერმანელთა გამარჯვება ნაკრების ლიდერის ლოთარ მათეუსის (უკანა პლანზე) კარგმა თამაშმა განაპირობა

**Mexico'99**
FIFA CONFEDERATION CUP
24 July to 4 August, 1999

პირველი ტურის შემდეგ, ბრაზილიელებთან 0:4 წაგებული შეხვედრის დასრულებისთანავე გერმანიის ნაკრების თავკაცი ერიხ რიბეკი ერთხმად აღიარეს ქვეყნის ნაკრების ყველა დროის უცუდეს მწვრთნელად. გერმანიაში რიბეკის თანამდებობიდან გადაყენებაც მოითხოვეს.

ვერ გეტყვით, შეიტყო თუ არა რიბეკმა გერმანიაში მის საწინააღმდეგოდ წამოწყებული კამპანიის შესახებ, მაგრამ ის, რომ იგი სამხრეთამერიკელებთან გამანადგურებელ მარცხს მაინცდამაინც არ შეუშფოთებია, გუნდში მომხდარი ცვლილებებიდანაც ჩანს — ახალ ზელანდიას ევროპის 1996 წლის ჩემპიონი გერმანია ოდნავ სახეშეცვლილი დაუპირისპირდა. ძირითად შემადგენლობაში „კაიზერსლაუტერნის" თავდამსხმელი ოლაფ მარშალი და რენე შნაიდერი გამოჩნდნენ.

ძალიანაც რომ უჭირდეს გერმანულ ფეხბურთს, ახალი ზელანდიისთანა გუნდებთან თამაშისას უნებურად ფიქრობ, რომ ბუნდესნაკრები ისე არასდროს დასუსტდება, ვილაც-ვილაცეებს სალაპარაკო მისცეს. გერმანიის, ბრაზილიის, საფრანგეთის და სხვა რამდენიმე ძლიერ გუნდთან შედარებით ახალი ზელანდია მართლა სახსენებელიც არაა.

ბრაზილიელებთან გერმანიამ უსუსურად ითამაშა. გუნდი გუნდს არ ჰგავდა, ფეხბურთელებმა არ იცოდნენ, რა უნდოდათ და ამიტომაც განადგურდნენ. მეორე შეხვედრაში მათზე ვერც იმას იტყვი, ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენო, მაგრამ წინა თამაშზე კარგად მოქმედებდნენ, გოლებიც გაიტანეს და რაც მთავარია, მოიგეს.

გერმანელები მთლიანად არა, მაგრამ იმდენად კი ფლობდნენ უპირატესობას, მათ საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის შეეტანა. იენს ლემანსაც, ნაკრების მეკარეს, თავდამსხმელები უწინდელზე იშვიათად აწუხებდნენ, თუმცა ეს უფრო დაცვის კარგ თამაშს კი არ უნდა დავაბრალოთ, არამედ ახალი ზელანდიელი ფორვარდების დაბალ დონეს.

ევროპელებს გამარჯვებისკენ კვლავ ლოთარ მათეუსი მიუძღოდა — ამას წინათ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა მათეუსმა იმდენი ქნა, სანამ გოლი არ გაიტანა. ახალზელანდიელთა კარში 33-ე წუთზე გატანილი გოლი მისთვის ნაკრებში 23-ე გამოდგა. მანამდე პრეეცმა გახსნა ანგარიში.

მიუხედავად გამარჯვებისა, გერმანელებს თავი ქუდში სულაც არ აქვთ — ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში მათ აშშ ელით, რომლისთვისაც ნახევარფინალში გასასვლელად ფრეც საკმარისია.

ამერიკელები, თავის მხრივ, გერმანელთა მძლეველ ბრაზილიასთან დამარცხდნენ, თუმცა ოკეანისგაღმელებმა ევროპელებზე კარგად ითამაშეს. ეგ კი არა, 71-ე წუთზე ჯო მაქს მურს ბრაზილიელთა კარში პენალტი რომ გაეტანა, ამერიკა ქულას გადაარჩენდა.

საოცარი მეკარეა დიდა — ერთი შეხედვით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, არც თამაშის მანერა აქვს განსხვავებული და არც არაორდინალური საქციელით გამოირჩევა, მაგრამ ძალიან საიმედოა. მეკარისთვის კი ეს თვისებაა უმთავრესი. ძნელად ვინმემ დიდას კარი დალაშქროს. მის სიძლიერეზე პენალტების მოგერიების უნარიც მეტყველებს — „კოპა ამერიკაზე" ბრაზილიის ნაკრების კარში ორი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ორჯერვე დიდამ იყოჩაღა და მეტოქეებს გოლი არ გაატანინა. ახლა კი მოგერიებული პენალტების რიცხვი კიდევ ერთით გაზარდა. ისე, პირველ ტაიმში ბრაზილიელთა გოლკიპერს გაცილებით ბევრი საქმე ჰქონდა, ვიდრე შესვენების შემდეგ.

შეხვედრის შემდეგ ბრაზილიელთა მწვრთნელმა, ვანდერლეი ლუქსემბურგომ განაცხადა, ძნელი თამაში იყო, მეტოქე ჯეროვნად ვერ შევაფასეთო. მართლაც ასე იყო — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონებს ეტყობოდათ, რომ ამერიკელთა ასეთ თამაშს არ ელოდნენ. სხვათა შორის, ეს მატჩი მერვე გახლდათ ამ გუნდების დაპირისპირების ისტორიაში და ბრაზილიელებს ერთის გარდა ყველა თამაში მოგებული აქვთ. ის ერთი შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ წააგეს 0:1.

ბრაზილიამ, ისევე როგორც „კოპა ამერიკაზე", შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება ახლაც ნაადრევად მოიპოვა. ვანდერლეი ლუქსემბურგოს თქმით, მას არ უყვარს სამომავლოდ გადადებული საქმეები და გუნდიც ყველა შეხვედრაში ამიტომ იბრძვის მოსაგებად.

**ლაშა გოდუაძე**



ბრაზილია — აშშ 1:0. ამერიკელმა ფრენკი ჰეიდუკმა (№2) ბრაზილიელი ვარლეის სვლა ვარდნით შეაჩერა

**ბრაზილია 1:0 აშშ**

1:0 რონალდინიო (13)
71-ე წუთზე მურმა (აშშ) ვერ გაიტანა პენალტი
ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ოდვანი, ჟოაო კარლოსი, ფლავიო კონსეისაო (ალექსი 78), სერჟინიო, რონალდინიო (ბეტო 80), ემერსონი, კრისტიანი (ვარლეი 46), ზე რობერტო, ვამპეტა
აშშ: კელერი, ჰეიდუკი, ბერჰალტერი, ფრეიზერი, ჰარკსი (მური 58), სტიუარტი, კიროვსკი, აგუსი, ჯოუნსი, ლამოსა (ლუისი 78), მაკბრაიდი
გაფრთხილება: ბერჰალტერი (6), ლამოსა (35), ფრეიზერი (61), ემერსონი (82)
გაფრთხილება: ანდერს ფრისკი (შვეიცარია)

**გერმანია 2:0 ახალი ზელანდია**

1:0 პრეეცი (6), 2:0 მათეუსი (33)
გერმანია: ლემანი, ვიორნსი, ჰაინრიხი, ლინკე, შოლი (ვოში 46), მარშალი (რინკი 64), მათეუსი (ბალაკი 70), პრეეცი, ნოივილი, შნაიდერი, რიკენი
ახალი ზელანდია: ბეტი, ზორიჩიჩი (პერი 78), დუგლასი, უილკინსონი, ბარტონი (ელრიკი 78), ლაინსი, ჯექსონი (კოვენი 62), ატკინსონი, ბუკენჰუგი, ნელსენი, ვისელიჩი
გაფრთხილება: მარშალი (19), მათეუსი (47)
მსაჯი: კოფი კოდიჯა (ბენინი)

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ახ. ზელანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბლანკო (მექსიკა) | 4 |
| ალექსი (ბრაზილია) | 2 |
| აჰმუდი (ეგვიპტე) | 2 |
| აბუნდისი (მექსიკა) | 2 |
| რონალდინიო (ბრაზილია) | 2 |

# სელტამ ლოპესი იყიდა

ესპანურმა „სელტამ" გუშინ განაცხადა, რომ არგენტინის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელთან გუსტავო ლოპესთან კონტრაქტი გააფორმა. ეს ფეხბურთელი შარშან „სარაგოსაში" თამაშობდა.

ლოპესს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია, მაგრამ არგენტინის ნაკრების მწვრთნელად მარსელო ბიელსას მოსვლის შემდეგ, ის ძირითადის ფეხბურთელი გახდა.

არგენტინელი ამ ზაფხულს „სელტას" მეათე შენაძენი გახდა. ამასთან, კლუბმა ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი გაყიდა. თუ რა თანხად გადაიბირა „სელტამ" ლოპესი, უცნობია.



აზიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალური მდივანი პიტერ ვილაპანი უახლოეს დღეებში ფიფას ესტუმრება

# ჯიუტი აზიელები

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ამ კვირაში ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს შეხვდებიან და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ირგვლივ წარმოქმნილ პრობლემებზე იმსჯელებენ.

პეტერ ვილაპანმა, აზიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მიუხედავად ბლატერთან მოახლოებული შეხვედრისა, ორგანიზაცია ოქტომბერში გადაწყვეტს, საბოლოოდ გამოუცხადოს ბოიკოტი 2002 წლის მსოფლიოს პირველობას თუ არა. სწორედ ოქტომბერში გაირკვევა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის განრიგი.

ფიფამ აზიის ფეხბურთის კონფედერაციას მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში ისევე, როგორც 1998 წელს, ოთხი ადგილი უბოძა, ამასთანავე მეხუთე საგზურის მოსაპოვებლად ოკეანეთის კონფედერაციის გუნდთან პლეი ოფის უფლება მისცა. აზიელები ამ გადაწყვეტილებით არ კმაყოფილდებიან და სურთ, ხუთი საგზური ყოველგვარი გადათამაშება-გადმოთამაშების გარეშე ჰქონდათ.

— ხუთი საგზური აუცილებლად უნდა გვქონდეს. ეს ჩვენი უფლებაა. თუ ჩვენს თხოვნას ფიფა არ დააკმაყოფილებს, მანამდე აზიის ფეხბურთის ფედერაცია 2002 წლის მსოფლიოს პირველობას ბოიკოტს გამოუცხადებს და ტურნირზე მხოლოდ ორი გუნდით — მასპინძელი კორეით და იაპონიით წარსდგება. 10 ოქტომბერს აზიის ფეხბურთის კონფედერაციის სხდომა გაიმართება, რომელზეც საბოლოოდ გამოვხატავთ ჩვენს პოზიციას — თქვა ველაპანმა.

ველაპანმა განაცხადა, რომ აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტთან, სულთან აჰმედ შაჰთან ერთად ბლატერს შეხვდება და შექმნილ პრობლემებზე ისაუბრებენ.

**ირაკლი ილაშვილი**

# მშვიდობის დესპანი



ბრაზილიელი რონალდო მონაწილეობას მიიღებს გაეროს აქციაში „მშვიდობიანი მსოფლიო".

იგი ამ ეგიდით გასამართ ღონისძიებებს აგვისტოში კოსოვოშიც დაესწრება.

ეს განცხადება თავად ფეხბურთელმა გააკეთა, რომელიც ამჟამად რიო დე ჟანეიროში ისვენებს და მალე იტალიაში გაემგზავრება, სადაც მილანის „ინტერთან" ერთად სეზონისწინა მზადებას შეუდგება.

## საფრანგეთი

# ფრანგები იწყებენ

დღეს „ბორდო“ — „ბასტიისა“ და „მონაკო“ — „სენტ ეტიენის“ მატჩებით საფრანგეთში ახალი ჩემპიონატი დაიწყება. პირველი ტურის დანარჩენი შვიდი შეხვედრა კი ხვალ გაიმართება. 30 ივლისს ფეხადგმული საფეხბურთო ვნებათაღელვა გაისად 20 მაისამდე გასტანს.



„ბორდოს“ წლეულსაც სილვენ ვილტორდის (მარჯვნივ) იმედი ექნება

ჩემპიონატი დღეს იწყება, მაგრამ სეზონის ოფიციალური გახსნა წინა შაბათს მოეწყო, როცა სუპერთასისთვის მატჩში ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი „ბორდო“ და თასის მფლობელი „ნანტი“ შეხვდნენ. ნამატჩევს „ბორდოს“ მწვრთნელი ელი ბოპი უკმაყოფილო ჩანდა და ეს არც იყო გასაკვირი. მან მინდორზე საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ „ნანტმა“ მაინც დაამარცხა 1:0.

ბოპის თქმით, „ბორდო“ წლეულსაც პირველობას ეცდება. ზაფხულში კლუბის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ეგ არის ჟირონდელები „წლის მოთამაშე“ ალი ბენარბიამ დატოვა, სამაგიეროდ ესპანური „დეპორტივოდან“ დაბრუნდა პლეიმეიკერი სტეფან ზიანი. გუნდის მთავარი იმედი კვლავ 25 წლის თავდამსხმელი სილვენ ვილტორდი იქნება, რომელმაც შარშან 22 ბურთი გაიტანა და საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ფრანგი მიმომხილველების აზრით, „ბორდოს“, რომელიც 1987 წლის შემდეგ პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, კარგი შანსები აქვს როგორც ეროვნულ პირველობაზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაში.

შარშან მეორე ადგილზე გასულ მარსელის „ოლიმპიკში“ კი უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გუნდისა და ნაკრების კაპიტანი ლორან ბლანი და სირილ დომორო მილანის „ინტერში“ წავიდნენ, აბუბაქარ „ტიტი“ კამარა ინგლისურ „ლივერპულში“ გადავიდა, ხოლო ფაბრიციო რავანელიმ „ფიორენტინას“ მიაშურა. მიუხედავად ამისა, ფრანგი ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ ახალ სეზონში „მარსელს“ უფრო მწყობრი და მებრძოლი შემადგენლობა ეყოლება: იტალიური „ლაციოდან“ წამოსულმა ესპანელმა ივან დე ლა პენიამ, ლონდონის „არსენალიდან“ გადმოყვანილმა კაბა დიავარამ და ექსმონაკოელმა ლილიან მარტინმა ზღვისპირელები მნიშვნელოვნად უნდა გააძლიერონ. შარშანდელი სეზონის ბოლო კი „მარსელისთვის“ დრამატული აღმოჩნდა. ჯერ იყო და გუნდმა უეფას თასის მოსკოვურ ფინალში იტალიურ „პარმასთან“ უსუსურად წააგო 0:3, ცოტა ხანში კი ქვეყნის ჩემპიონობაც ბოლო ტურში „ბორდოს“ დაუთმო.

„მარსელი“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაშიც იასპარეზებს. პირველად მას შემდეგ, რაც 1993 წელს ეს ტურნირი მოიგო.

გასულ სეზონში მესამე ადგილზე გასულმა „ლიონმა“ საზაფხულო მიდი-მოდი ყველაზე აქტიურად გამოიყენა. ახალბედების შეძენაზე კლუბმა 40 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. ისიც სათქმელია, რომ ესპანური „ბარსელონას“ ბრაზილიელ თავდამსხმელ სონი ანდერსონში „ლიონმა“ 19,5 მილიონი დოლარი გაიღო, რაც ფრანგული ფეხბურთისთვის სარეკორდო თანხას წარმოადგენს. წლეულს კლუბს მეტად მაღალი მიზნები დაუსახავს და მთავარი მწვრთნელი, წარსულში საფრანგეთის ნაკრების ჩინებული მოთამაშე ბერნარ ლაკომბი ამას არც მალავს. საინტერესოა, რომ „ლიონს“ თავისი ისტორიის მანძილზე ქვეყნის ჩემპიონობა არასოდეს მოუგია.

„მონაკოსათვის“ შარშანდელი სეზონი ცუდი არ ყოფილა, მაგრამ მეოთხე ადგილი კლოდ პუელის გუნდისათვის მაინც წარუმატებლად ითვლება. კლუბის თავკაცები ფეხბურთელებისგან მხოლოდ გამარჯვებებს ელიან. ზაფხულში „მონაკომ“ ორი ძლიერი მოთამაშე შეიძინა: არგენტინული „რივერ პლეიტის“ ნიჭიერი პლეიმეიკერი მარსელო გალიარდო და იტალიელი ფორვარდი მარკო სიმონე. პუელი ამბობს, რომ მისი გუნდი წლეულს კარგად გამოვა ჩემპიონატშიც და უეფას თასზეც, თუმცა, იმასაც ამატებს, რომ წარმოდგენა არ აქვს, რამდენად რეალური იქნება „მონაკოს“ ამბიციები.

„პარი სენ-ჟერმენმა“, რომელმაც გასული სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარა და მეცხრე ადგილს დასჯერდა, „ბორდოდან“ „წლის მოთამაშე“ ალი ბენარბია შეიძინა და ახლა მისი დიდი იმედიც აქვს. სხვათა შორის, ბენარბია ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა გუნდების შემადგენლობაში ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და პარიზელებსაც სჯერათ, რომ ის კლუბის ერთგვარ იღბლიან თილისმად იქცევა.

და კიდევ, 1993 წლის შემდეგ „პსჟ“ პირველად არ მონაწილეობს ევროთასებზე და მთელს ყურადღებას ჩემპიონატზე გადაიტანს. ეს კი, რამდენიმე ფრონტზე მებრძოლ გუნდებთან ჭიდილში, ხანდახან, გარკვეულ უპირატესობას იძლევა.

**სოლომონ გულისაშვილი**







მარსელო გალიარდო და მარკო სიმონე „მონაკოს“ მაისურას იზომავენ

# მნიშვნელოვანი ტრანსფერები

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სატრანსფერო თანხა (მილიონი $) |
|---|---|---|---|
| სონი ანდერსონი | ბარსელონა | ლიონი | 19,5 |
| სტეფან დალმა | ლანსი | მარსელი | 11,5 |
| სტეფან ზიანი | დეპორტივო | ბორდო | 11,3 |
| ტონი ვერეი | ლანსი | ლიონი | 10 |
| ლორან რობერი | მონპელიე | პსჟ | 10 |
| მარსელო გალიარდო | რივერ პლეიტი | მონაკო | 9,36 |
| ოლივიე დაკური | ევერტონი | ლანსი | 8,6 |
| პიერ ლეგლი | სამპდორია | ლიონი | 8,3 |
| ჟოსელინ ბლანშარი | იუვენტუსი | ლანსი | 7,6 |
| იბრაგიმ ბაკაიოკო | ევერტონი | მარსელი | 6,6 |
| ჟერომ ბონისელი | დეპორტივო | ბორდო | 6 |
| სტეფან გივარში | რეინჯერსი | ოსერი | 5,8 |
| კაბა დიავარა | არსენალი | მარსელი | 5,8 |
| სეზარი | პორტუგეზა | პსჟ | 5,3 |
| სებასტიან პერესი | ბასტია | მარსელი | 4,2 |
| ჟოზეფ-დეზირე ჟობი | ლიონი | ლანსი | 4,16 |
| ალი ბენარბია | ბორდო | პსჟ | 3,3 |
| ედუარდო ბერიზო | რივერ პლეიტი | მარსელი | 3,3 |
| კრისტიან ბასილა | ლიონი | რენი | 2,5 |

**ოსერი** — მწვრთნელი: გი რუ; მეკარეები: კული, ლე კრომი; მცველები: კლოსი, სიეშელსკი, დანჟუ, ასატი, ჟორესი, ჟეი, რეკორბე, რადე, ოდუტო, რეიესი, მანია; ნახევარმცველები: ენა, ზატიკელი, ჟარნო, პერიატამბე, ჟენშანი, აგბო, კომიზეტი, ტაინი; თავდამსხმელები: მარლე, გივარში, ფიომედი, დე შო, ლეპილე, კომპენი, გონსალესი

**ბასტია** — მწვრთნელი: ფრედერიკ ანტონეტი; მეკარეები: დიურანი, პენეტო, ბუმნიჟელი; მცველები: ვალერი, მ. სუმა, მორო, დეგერვილი, ჟურიეტი, მატენგუ; ნახევარმცველები: მაზონსინი, კლეიტონი, პიეკარსკი, სვირშევსკი, ანზიანი, მენდი, ოდე, ნალი; თავდამსხმელები: ო. სუმა, ნე, ანდრე, პრენსი, ლორანი, პაულო ალვეში, პეტერსენი, ებოკი-პო

**ბორდო** — მწვრთნელი: ელი ბოპი; მეკარეები: რამე, რიშარი; მცველები: ჟემალი, ტორეს მესტრი, საველიჩი, აფანუ, ფილიპი, ე. ალიკარტი, ბონისელი; ნახევარმცველები: პავონი, მიკუ, ზიანი, რუვიერი, გრენე, ბატლი, ზანოტი, დიაბატე, ესკუდო; თავდამსხმელები: ლასლანდი, ვილტორდი, ფეინდუნო

**ლე ავრი** — მწვრთნელი: ფრანსის სმერეკი; მეკარეები: ამელი, ბლონდელი, დუშე; მცველები: ვებერი, დელუმო, ბაოკანი, მამუნი, ნოვაკი, ენენი, ბუმსონგი; ნახევარმცველები: ჰუისმანი, ვეიგა, დებევი, პანტიჩი, სოლუა, დე ნეეფი, მანსური, პარმანტიე, კერკარი, ს. დიავარა, მისელი; თავდამსხმელები: კუსტოვიჩი, დიალო, დენიო, პუჟე, ლეზაჟი, ბეკანოვიჩი, კორეა, ორლავილი

**ლანსი** — მწვრთნელი: დანიელ ლეკლერი; მეკარეები: ვარმიუზი, შაბერი, ბერტელენი; მცველები: სიკორა, ლაშორი, კოლი, მერიდი, პიერ-ფანფანი, ისმაელი; ნახევარმცველები: ბარული, კორიდონი, კულიბალი, ორუმა, ესომბე, ბლანშარი, დაკური, რული, ნიარკო, მორეირა, დელპორტი, კოლე; თავდამსხმელები: დიოპი, ბრუნელი, საკო, ნუმა, ჟობი

**ლიონი** — მწვრთნელი: ბერნარ ლაკომბი; მეკარეები: კუპე, სოსიე, იუგი; მცველები: კარტერონი, ლავილი, ბაკი, დევო, ბლანი, ფურნიე, ბრეშე, ურა; ნახევარმცველები: ვიოლო, დორასო, სენუსი, დელმოტი, მალბრანკი, ლინარესი, ლეგლი; თავდამსხმელები: კავეგლია, გრასი, ელბუიკი, ვერეი, კანუტე, ანდერსონი

**მარსელი** — მწვრთნელი: როლან კურბისი; მეკარეები: პორატო, ტრევიზანი, სპინოზი; მცველები: ბლონდო, ისა, მარტინი, გალასი, დეკრუა, ფიშერი, აბარდონადო, მარტინი, ბერიზო; ნახევარმცველები: რუა, ბრანდო, გურვენეკი, ლუქსენი, ს. პერესი, დალმა, დე ლა პენია, ბაკაიოკო, კალანდრია; თავდამსხმელები: პირესი, მორისი, კ. დიავარა, მოზესი, მურე, დიუგარი

**მეცი** — მწვრთნელი: ჟოელ მიულერი; მეკარეები: ლეტიზი, ბიანკარელი, ჟუბერი, ეჟიმენი; მცველები: პიერი, გაიო, შემელი, კასტენდოჩი, ტუა, რეჟისი, მორიზო, მარშალი; ნახევარმცველები: ასუარი, რიზეტო, ბასტიენი, დიანი, ბოფენი, კარიფი, მეირო, პრომანი, ვან ჰანდენჰოვენი; თავდამსხმელები: ტოტი, სკაჩენკო, ადოვანო, იესტროვიჩი, ბულილა, ჟაჟერი, კრაუში, გუსე, საა

**მონაკო** — მწვრთნელი: კლოდ პუელი; მეკარეები: ბარტეზი, ობრი, სილვა; მცველები: პინიოლი, ჯეტუ, ლეონარი, სანიოლი, კრისტანვალი, რიიზი, დი ტომაზო; ნახევარმცველები: ლამუში, ჟიული, გალიარდო, ნდორამი, ლეგვინსკი, და კოსტა, დიაო, ფარნერუ, როხერი; თავდამსხმელები: ტრეზეგე, ელუა, ლეფევრი, ნდიაი, პრსო, სიმონე

**მონპელიე** — მწვრთნელი: ჟან-ლუი გასე; მეკარეები: კასარი, ფლუკლინგერი, რიუ, ვერკუტრი; მცველები: დოს სანტოსი, სილვესტრი, მ. როდრიგესი, ბერტრანი, ფურნელი, ფუჟიე, ჯოდიჩი, ბაილსი, ფერიე; ნახევარმცველები: სერედზუმი, ბარბოზა, სორლენი, მაუვე, დელეი; თავდამსხმელები: ტიმოტე, ლოკო, უედეკი, პედროსი, გარნი, აგატი, მაურიდა, გეი

**ნანსი** — მწვრთნელი: ლასლო ბოლონი; მეკარეები: ლაკე, ბრასილიანო; მცველები: ფერეირა, მორაკინი, ლეკრუზი, ონიონი, ფიშერი, მენილი, როდრიგი, უადუ; ნახევარმცველები: ბიანკალანი, უადა, მუსტაე, ოლისე, სავინი, რამბო, შიბა; თავდამსხმელები: კასკარინი, კორეა, კონი, ვიარი, ი.ჰაჯი, ფლორანტენი

**ნანტი** — მწვრთნელი: რეინალდ დენუე; მეკარეები: ლანდრო, გრონდენი; მცველები: ფაბრი, ლიევრი, ჟილე, გოპ-ფენეპეი, შანელე, დელომო, დეროფი; ნახევარმცველები: ოლემბე, სიბირსკი, პიოსელი, დევინო, კარიერი, მ. ლერუა, ფენილა, ბერსონი, მასე, სავინო; თავდამსხმელები: ბუსტოსი, დაროშა, ჯიალანძა, ნდიაი, ანდრეანი, ტურე, მონტერუდიო, სიუფო

**პსჟ** — მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო; მეკარეები: ლამა, კასაგრანდე, კიევრო; მცველები: კელბანი, კაროტი, ოკპარა, ლასერი, რაბესანდრატანა, ალჟერინო, პესლეი, ა. სისე, ლასპალი, სეზარი; ნახევარმცველები: დიუკრო, ჰელდერი, ლაშუერი, ფაბიანო, აბრიელი, ოკოჩა, გრაველენი, ჟ. ლერუა, იანოვსკი, მიურატი, ე. სისე, ბენარბია; თავდამსხმელები: ლ. ლერუა, ბ. როდრიგესი, ირუ, მადარი, ლ. რობერი, კრისტიანი

**რენი** — მწვრთნელი: პოლ ლე გუენი; მეკარეები: რევო, მალიკი, დებეკი ; მცველები: ბრენკენი, დოგონი, როსი, არიბაჟე, სომეი, ბასილა, ლე ბრი, რევეიერი, დიატა, ირლესი; ნახევარმცველები: ბინიე, იაპი, გრეგუარი, ლე რუ, გავა, დიუფი; თავდამსხმელები: ბარდონი, ნონდა, ფერნანდესი, კრუპი

**სტ. ეტიენი** — მწვრთნელი: რობერ ნუზარე; მეკარეები: ალონზო, ჟანო, მონტანიე; მცველები: პონტალი, ბილონი, გილუ, პოტიონი, ლეკლერი, ბუდარენი, ერნანდესი, მეტომო, ვალემი; ნახევარმცველები: ფერაუი, მელიანი, რიუ, სარი, გრონდენი, გუელი, პედრონი, ფეიოლი, საბლე, დობო; თავდამსხმელები: შავირია, სუბია, ალიოზო, დიასი, რეველი, მამუნე, ობინა

**სედანი** — მწვრთნელი: პატრიკ რემი; მეკარეები: საში, რენიო, რულიე; მცველები: სატორა, ჟუო, ოლივეირა, ლუსიანი, ელზეარი, ანრო, დიანი, კაპრონი, მონტერო; ნახევარმცველები: დებლოკი, კრონიე, ლაკე, ფორი, ადჟაუ, კენი, უარი; თავდამსხმელები: ბრანდი, როდრიგი, ნდიეფი, მიონე, დი როკო, ლეკონტი, ბურჟუა

**სტრასბური** — მწვრთნელი: პიერ მანკოვსკი; მეკარეები: ვენსელი, დები, ეკრო; მცველები: ნილსენი, ბერტენი, ბეი, მარსილია, ნდჟანკა; ნახევარმცველები: კელერი, ამდანი, დიოპი, კამადინი, გარეი, მარტენსი, კინე, ეშუაფნი, ამზინი, მეზრიში, ერე, ნდო; თავდამსხმელები: რუსელი, კონტე, ზიტელი, ლუინდულა, ჰაასი, ბაგეიოკო

**ტრუა** — მწვრთნელი: ალენ პერენი; მეკარეები: ერტებისი, დეონი, ვებერი; მცველები: ფუჟანი, იეზიერსკი, ლალისი, ტომასი, ბრადია, დე ბაროსი, ჰამედი, ს. დიავარა, ზავანო, ბერტე; ნახევარმცველები: ზეიტუნი, დიურანი, ადამი, მადაუი, მონიე, რივალი, არპინო, საეფი; თავდამსხმელები: ჯუკიჩი, ბუტალი, ლამოტი, აკიანა, რივენე, ლობე, გაზი

**I ტური. 31.07.99**

30.07 ბორდო — ბასტია
30.07 მონაკო — სტ. ეტიენი
მეცი — რენი
პსჟ — ტრუა
ლიონი — მონპელიე
სტრასბური — ლანსი
ნანტი — ლე ავრი
მარსელი — სედანი
ოსერი — ნანსი

**II ტური. 6.08.99**

მეცი — ოსერი
სედანი — ნანსი
ლე ავრი — მარსელი
სტ. ეტიენი — ნანტი
ლანსი — მონაკო
ბასტია — სტრასბური
მონპელიე — ბორდო
ტრუა — ლიონი
რენი — პსჟ

**III ტური. 14.08.99**

ნანსი — ლე ავრი
პსჟ — მეცი
ლიონი — რენი
ბორდო — ტრუა
სტრასბური — მონპელიე
მონაკო — ბასტია
ნანტი — ლანსი
მარსელი — სტ. ეტიენი
ოსერი — სედანი

**IV ტური. 20.08.99**

მეცი — ლიონი
პსჟ — ოსერი
ლე ავრი — სედანი
სტ. ეტიენი — ნანსი
ლანსი — მარსელი
ბასტია — ნანტი
მონპელიე — მონაკო
ტრუა — სტრასბური
რენი — ბორდო

**V ტური. 28.08.99**

ნანსი — ლანსი
სედანი — სტ. ეტიენი
ლიონი — პსჟ
ბორდო — მეცი
სტრასბური — რენი
მონაკო — ტრუა
ნანტი — მონპელიე
მარსელი — ბასტია
ოსერი — ლე ავრი

**VI ტური. 10.09.99**

მეცი — სტრასბური
პსჟ — ბორდო
ლიონი — ოსერი
სტ. ეტიენი — ლე ავრი
ლანსი — სედანი
ბასტია — ნანსი
მონპელიე — მარსელი
ტრუა — ნანტი
რენი — მონაკო

**VII ტური. 18.09.99**

ნანსი — მონპელიე
სედანი — ბასტია
ლე ავრი — ლანსი
ბორდო — ლიონი
სტრასბური — პსჟ
მონაკო — მეცი
ნანტი — რენი
მარსელი — ტრუა
ოსერი — სტ. ეტიენი

**VIII ტური. 25.09.99**

მეცი — ნანტი
პსჟ — მონაკო
ლიონი — სტრასბური
ბორდო — ოსერი
ლანსი — სტ. ეტიენი
ბასტია — ლე ავრი
მონპელიე — სედანი
ტრუა — ნანსი
რენი — მარსელი

**IX ტური. 2.10.99**

ნანსი — რენი
სედანი — ტრუა
ლე ავრი — მონპელიე
სტ. ეტიენი — ბასტია
სტრასბური — ბორდო
მონაკო — ლიონი
ნანტი — პსჟ
მარსელი — მეცი
ოსერი — ლანსი

**X ტური. 12.10.99**

მეცი — ნანსი
პსჟ — მარსელი
ლიონი — ნანტი
ბორდო — მონაკო
სტრასბური — ოსერი
ბასტია — ლანსი
მონპელიე — სტ. ეტიენი
ტრუა — ლე ავრი
რენი — სედანი

**XI ტური. 15.10.99**

ნანსი — პსჟ
სედანი — მეცი
ლე ავრი — რენი
სტ. ეტიენი — ტრუა
ლანსი — მონპელიე
მონაკო — სტრასბური
ნანტი — ბორდო
მარსელი — ლიონი
ოსერი — ბასტია

**XII ტური. 23.10.99**

მეცი — ლე ავრი
პსჟ — სედანი
ლიონი — ნანსი
ბორდო — მარსელი
სტრასბური — ნანტი
მონაკო — ოსერი
მონპელიე — ბასტია
ტრუა — ლანსი
რენი — სტ. ეტიენი

**XIII ტური. 30.10.99**

ნანსი — ბორდო
სედანი — ლიონი
ლე ავრი — პსჟ
სტ. ეტიენი — მეცი
ლანსი — რენი
ბასტია — ტრუა
ნანტი — მონაკო
მარსელი — სტრასბური
ოსერი — მონპელიე

**XIV ტური. 6.11.99**

მეცი — ლანსი
პსჟ — სტ. ეტიენი
ლიონი — ლე ავრი
ბორდო — სედანი
სტრასბური — ნანსი
მონაკო — მარსელი
ნანტი — ოსერი
ტრუა — მონპელიე
რენი — ბასტია

**XV ტური. 10.11.99**

ნანსი — მონაკო
სედანი — სტრასბური
ლე ავრი — ბორდო
სტ. ეტიენი — ლიონი
ლანსი — პსჟ
ბასტია — მეცი
მონპელიე — რენი
მარსელი — ნანტი
ოსერი — ტრუა

**XVI ტური. 19.11.99**

მეცი — მონპელიე
პსჟ — ბასტია
ლიონი — ლანსი
ბორდო — სტ. ეტიენი
სტრასბური — ლე ავრი
მონაკო — სედანი
ნანტი — ნანსი
მარსელი — ოსერი
რენი — ტრუა

**XVII ტური. 27.11.99**

ნანსი — მარსელი
სედანი — ნანტი
ლე ავრი — მონაკო
სტ. ეტიენი — სტრასბური
ლანსი — ბორდო
ბასტია — ლიონი
მონპელიე — პსჟ
ტრუა — მეცი
რენი — ოსერი

**XVIII ტური. 3.12.99**

ოსერი — მეცი
ნანსი — სედანი
მარსელი — ლე ავრი
ნანტი — სტ. ეტიენი
მონაკო — ლანსი
სტრასბური — ბასტია
ბორდო — მონპელიე
ლიონი — ტრუა
პსჟ — რენი

**XIX ტური. 11.12.99**

ლე ავრი — ნანსი
მეცი — პსჟ
რენი — ლიონი
ტრუა — ბორდო
მონპელიე — სტრასბური
ბასტია — მონაკო
ლანსი — ნანტი
სტ. ეტიენი — მარსელი
სედანი — ოსერი

**XX ტური. 15.12.99**

ლიონი — მეცი
ოსერი — პსჟ
სედანი — ლე ავრი
ნანსი — სტ. ეტიენი
მარსელი — ლანსი
ნანტი — ბასტია
მონაკო — მონპელიე
სტრასბური — ტრუა
ბორდო — რენი

**XXI ტური. 18.12.99**

ლანსი — ნანსი
სტ. ეტიენი — სედანი
პსჟ — ლიონი
მეცი — ბორდო
რენი — სტრასბური
ტრუა — მონაკო
მონპელიე — ნანტი
ბასტია — მარსელი
ლე ავრი — ოსერი

**XXII ტური. 15.01.00**

სტრასბური — მეცი
ბორდო — პსჟ
ოსერი — ლიონი
ლე ავრი — სტ. ეტიენი
სედანი — ლანსი
ნანსი — ბასტია
მარსელი — მონპელიე
ნანტი — ტრუა
მონაკო — რენი

**XXIII ტური. 26.01.00**

მონპელიე — ნანსი
ბასტია — სედანი
ლანსი — ლე ავრი
ლიონი — ბორდო
პსჟ — სტრასბური
მეცი — მონაკო
რენი — ნანტი
ტრუა — მარსელი
სტ. ეტიენი — ოსერი

**XXIV ტური. 2.02.00**

ნანტი — მეცი
მონაკო — პსჟ
სტრასბური — ლიონი
ოსერი — ბორდო
სტ. ეტიენი — ლანსი
ლე ავრი — ბასტია
სედანი — მონპელიე
ნანსი — ტრუა
მარსელი — რენი

**XXV ტური. 5.02.00**

რენი — ნანსი
ტრუა — სედანი
მონპელიე — ლე ავრი
ბასტია — სტ. ეტიენი
ბორდო — სტრასბური
ლიონი — მონაკო
პსჟ — ნანტი
მეცი — მარსელი
ლანსი — ოსერი

**XXVI ტური. 16.02.00**

ნანსი — მეცი
მარსელი — პსჟ
ნანტი — ლიონი
მონაკო — ბორდო
ოსერი — სტრასბური
ლანსი — ბასტია
სტ. ეტიენი — მონპელიე
ლე ავრი — ტრუა
სედანი — რენი

**XXVII ტური. 25.02.00**

პსჟ — ნანსი
მეცი — სედანი
რენი — ლე ავრი
ტრუა — სტ. ეტიენი
მონპელიე — ლანსი
სტრასბური — მონაკო
ბორდო — ნანტი
ლიონი — მარსელი
ბასტია — ოსერი

**XXVIII ტური. 11.03.00**

ლე ავრი — მეცი
სედანი — პსჟ
ნანსი — ლიონი
მარსელი — ბორდო
ნანტი — სტრასბური
ოსერი — მონაკო
ბასტია — მონპელიე
ლანსი — ტრუა
სტ. ეტიენი — რენი

**XXIX ტური. 25.03.00**

ბორდო — ნანსი
ლიონი — სედანი
პსჟ — ლე ავრი
მეცი — სტ. ეტიენი
რენი — ლანსი
ტრუა — ბასტია
მონაკო — ნანტი
სტრასბური — მარსელი
მონპელიე — ოსერი

**XXX ტური. 8.04.00**

ლანსი — მეცი
სტ. ეტიენი — პსჟ
ლე ავრი — ლიონი
სედანი — ბორდო
ნანსი — სტრასბური
მარსელი — მონაკო
ოსერი — ნანტი
მონპელიე — ტრუა
ბასტია — რენი

**XXXI ტური. 15.04.00**

მონაკო — ნანსი
სტრასბური — სედანი
ბორდო — ლე ავრი
ლიონი — სტ. ეტიენი
პსჟ — ლანსი
მეცი — ბასტია
რენი — მონპელიე
ნანტი — მარსელი
ტრუა — ოსერი

**XXXII ტური. 29.04.00**

მონპელიე — მეცი
ბასტია — პსჟ
ლანსი — ლიონი
სტ. ეტიენი — ბორდო
ლე ავრი — სტრასბური
სედანი — მონაკო
ნანსი — ნანტი
ოსერი — მარსელი
ტრუა — რენი

**XXXIII ტური. 13.05.00**

მარსელი — ნანსი
ნანტი — სედანი
მონაკო — ლე ავრი
სტრასბური — სტ. ეტიენი
ბორდო — ლანსი
ლიონი — ბასტია
პსჟ — მონპელიე
მეცი — ტრუა
ოსერი — რენი

**XXXIV ტური. 20.05.00**

რენი — მეცი
ტრუა — პსჟ
მონპელიე — ლიონი
ბასტია — ბორდო
ლანსი — სტრასბური
სტ. ეტიენი — მონაკო
ლე ავრი — ნანტი
სედანი — მარსელი
ნანსი — ოსერი

| № | საფრანგეთის ჩემპიონატი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*შენიშვნა: კალენდარში მოცემულია წინასწარი, ძირითადი თარიღები. ერთი ან ორი მატჩი, როგორც ეს პირველ ტურშია, სხვა დღეს ტარდება და მათ ტურის წინ ირჩევენ*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), [illegible] ბრაზილია); ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო [illegible] (ტორინო), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი); ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა); იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი); ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარო (ლეჩე), კალონი (კალიარი); ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი); პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორისი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კლემსონ, არგენტინა); რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია); ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როჯატი (რავენა); უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); გარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯინა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უნივერსიდად, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია); ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი); კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა); ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი); პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯინა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი); პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი); რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა); ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი); ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპიფლული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია); ვერონა: ფოლიო (რეჯინა); ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი); არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია); ჩელსი: მაიკლ დაბერი (ლიდსი), ენდი მეიერსი (ბრედფორდი), ედი ნიუტონი (ბირმინგემი); დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი), იენს ჰოგი (ფენერბაჰჩე, თურქეთი); ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ჟან მიშელ ფერი (სოშო, საფრანგეთი); აბუბაქარ „ტიტი" კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი), ჯიმი ტრაორე (ლავალი, საფრანგეთი); ნიუკასლი: დავიდ ტერიე (ნიცა, საფრანგეთი), ფილიპ ალბერი (შარლერუა, ბელგია), დიტმარ ჰამანი (ლივერპული); ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი), კაირონ დაიერი (იფსვიჩი); ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); კევინ კემბელი (ტრაბზონი, თურქეთი), რიჩარდ გაფი (ნოტინგემი); ქოვენტრი: ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა), ფილიპ კლემენტი (ბრიუგე, ბელგია); მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია); ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); დევიდ ჯეიმსი (ლივერპული), ჯორჯ ბოატენგი (ქოვენტრი), ნაგუან გრაები (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი); ლესტერი: კეისი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი); სანდერლენდი: მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი), ლი კლარკი (ფულჰემი); ტომას ჰელმერი (ბაიერნი, გერმანია), სტივ ბოულდი (არსენალი), კარსტენ ფრედგაარდი (ლუნგბიუ, დანია); ლიდსი: ლი შარპი (ბრედფორდი), დევიდ ვატერლი (ბრედფორდი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი); მაიკლ ბრიჯისი (სანდერლენდი), მაიკლ დაბერი (ჩელსი), დენი მილსი (ჩარლტონი), ერიკ ბაკე (სოგნდალი, ნორვეგია); დერბი: პაოლო ვანჩოპე (ვესტ ჰემი); ესტებან ფუერტესი (კოლონი, არგენტინა), ენდი ოუკსი (ჰული), სეტ იონსონი (კრიუ); ვესტ ჰემი: ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); პაოლო ვანჩოპე (დერბი); უიმბლდონი: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი), კრის პერი (ტოტენჰემი); უალედ ბადერი (ჰაპოელი, ფ-თ, ისრაელი), კელვინ დევისი (ლუტონი), კრის ვილმოტი (ლუტონი), ტორე პედერსენი (აინტრახტი, გერმანია); უოტფორდი: დარენ ბაზელი (ვულვზი); დომინიკ ფოლი (ვულვზი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი), დეს ლიტლი (ნოტონგემი); ტოტენჰემი: რორი ალენი (პორტსმუთი), ენდი სინტონი (ვულვზი); კრის პერი (უიმბლდონი), ვილი კორსტენი (ვიტესი, ჰოლანდია); საუთჰემპტონი: დინ რიჩარდსი (ვულვზი); შეფილდ უენსდეი: ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გერალდ სიბონი (აიაქსი, ჰოლანდია), ფილ ოდონელი, სიმონ დონელი (ორივე სელტიკი, შოტლანდია); ბრედფორდი: ლი შარპი (ლიდსი), დევიდ ვატერლი (ლიდსი), გუნარ ჰალე (ლიდსი);

## ესპანეთი

REAL FEDERACION ESPAÑOLA DE FUTBOL

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), რობერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია); რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), რომასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი); სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეგტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი); სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველიკა (სალამანკა); ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი); ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენტრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე); მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი); ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო); სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); ბონილა (რენისიტასი, ურუგვაი); ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო გარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტე, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე); ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია); რასინგი: ფროდე გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინა (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი); მალაგა: კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), რომასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი); კიკო მუსამბა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა); ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B); ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო); სევილია: ველასკო (სელტა); ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია); ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B); ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო); რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## გერმანია

ბაიერნი: თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა); ლევერკუზენი: ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), რუდიგერ ფოლბორნი (კარიერა დაასრულა), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი), ადამ ლედვონი, მეჰდი პაშაზადე (ორივე ფორტუნა); მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი), მიროსლავ შპიცაკი (ურდინგენი); ჰერტა: კრისტიან საბა (ბაიერნი), კარსტენ ლაკისი (ვალდჰოფი); ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა), დენის მაკერტი (ვალდჰოფი); დორტმუნდი: ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინცი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეივერი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), სტეფან შაპუიზა (გრასჰოპერი), კრისტიან ტიმი (კიოლნი); ვიქტორ იკპება (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი); კაიზერსლაუტერნი: მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ შეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), დანიელ გრაფი (ფორტუნა), პასკალ ოჟიგვე (კიოლნი) ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი), სილვიო აჯიჩი, რომან ვაიდენფელერი (სამოყვარულო გუნდიდან); ვოლფსბურგი: როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი), უვე ციმერმანი (ბრაუნშვაიგი), ჯონათან აკპობორი (ოსნაბრუკი), დრაგან სტეფანოვიჩი ? დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), კრისტიან ვუკი (უგუნდოდ), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი), პატრიკ ვაიზერი (რენი), კრისტიან ბრანდი (ვერდერი), მარტინ ბილოშკოვი (ჰაიდუკი); ჰამბურგი: სერგეი კირიაკოვი (ბერლინი), თომას ფოგელი (მიონხენგლადბახი), მარტინ დალინი (ბლექბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ოლივერ შტრაუბე (უნტერჰახინგი), ალან იეპსენი (ჰერენვენი); მეჰდი მაჰდავიკია (ბოხუმი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), როი პრეგერი (ვოლფსბურგი); დუისბურგი: სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი), პასკალ ტიულერი (სენტ გალენი), მარტინ ფრიდეკი (ტეპლიცე); მიხაელ ცაიერი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი), მარტინ შნაიდერი (მიონხენგლადბახი), რალფ კაიდელი (ნიუკასლი), ანდრეას ვოსი (ლევერკუზენი); მიუნხენ 1860: აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), ბერნდ მაიერი (მიონხენგლადბახი), შტეფან მალცი (არსენალი), მანფრედ ბენდერი (კარლსრუე), ბერნდ ჰობში (ნიურნბერგი); კრისტიან პრომზენიცი, მარკუს პორცი (ორივე რაპიდი, ვენა), ტომას ვოტავა (სპარტა), თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაცი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი); შალკე: ჰამი (ტრაბზონსპორი), ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860), რენე აიკელკამპი (კარიერა დაასრულა), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი), მილს ოუდე-კამპუსი (ტვენტე), ებე სანდი (ბრონდბიუ); შტუტგარტი: ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ცაიერი (დუისბურგი); პაველ კუკა (ნიურნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი); ფრაიბურგი: დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპიჩი (ბოხუმი); ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ტობიას ვილი (სამოყვარულო გუნდიდან), ანდრეას ცაიერი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი); ვერდერი: იენს ტოდტი (შტუტგარტი); ფრანკ ბაუმანი (ნიურნბერგი); ჰანზა: ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), იენს დოვე (რაპიდი, ვენა); რენე შნაიდერი (დორტმუნდი), აბდელაზიზ აჰანფუფი (უნტერჰახინგი); აინტრახტი: თომას სობოჩიკი (კაიზერსლაუტერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), იშტვან პისონტი (ჰაპოელი), დამირ სტოიაკი (ნაპოლი), ზვოლტ პეტრი (კავალა), ტორე პედერსენი (უიმბლდონი), ბურჰანეთინ კაიმაკი (იზმირი), საშა ამშტეტერი (ურდინგენი), ტორსტენ ფლიკი (საარბრუკენი); ბაშირუ სალუ (დორტმუნდი), ეროლ ბულუტი (ფენერბაჰჩე), ჰორს ჰელდტი (მიუნხენ 1860), პატრიკ ფალკი (ლევერკუზენი), როლფ-კრისტელ გუიე-მიენი (კარლსრუე), ტორსტენ კრაჩტი (ბოხუმი); არმინია: ჯუზეპე რეინა (დორტმუნდი), ჰენრიკ ბალუშინსკი, სვენ ბოი (ორივე ბოხუმი); მარსიო ბორჯესი (ვალდჰოფი), დირკ ვან დერ ვენი (ურდინგენი), კრისტიან საბა (ჰერტა), მარკუს ვაისენბერგერი (ლინცერი); უნტერჰახინგი: მატიას ლუშტი (ბოხუმი), აბდელაზიზ აჰანფუფი (ჰანზა), მიხაელ შპისი (ლიუბეკი); ლუდვიგ კიოგლი (ლუცერნი), ოლივერ შტრაუბე (ჰამბურგი), დანიშ შვარცი (კარლსრუე), დენის გრასოვი (კიოლნი); ულმი: ფრიც ვალტერი (კარიერა დაასრულა), ივიცა პირიჩი (ჰაიდუკი); რუი მარკეში (ბენფიკა), რაინერ შარინგერი (კარლსრუე)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * — უახლესი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### საფრანგეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07 | ბორდო — ბასტია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | მონაკო — სენტ ეტიენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 31.07 | მეცი — რენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | პსჟ — ტრუა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლიონი — მონპელიე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | სტრასბური — ლანსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ნანტი — ლე ავრი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | მარსელი — სედანი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ოსერი — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07-1.08 | ვასკალი — ლე მანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | კრეტეი — ნიორი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | გენგამი — ამიენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ლავალი — ლილი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ნიმი — სოშო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ნიცა — გენიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | აიაჩო — ლორიანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | შატორუ — ვალანსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ლუანი — კანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ტულუზი — კაენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ჩეხეთის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07 | სპარტა — ვიქტორია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 31.07 | იაბლონეცი — დუკლა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ტეპლიცე — ოპავა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1.08 | ბუდეიოვიცე — დრნოვიცე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ბრნო — სიგმა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ბოჰემიანსი — სლავია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ბანიკი — ბლშანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჰ. კრალოვე — ლიბერეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07-1.08 | ამიცა — ლეხი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლეგია — ზაგლებე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ოდრა — გურნიკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | პლოცკი — ლკს | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ვიძევი — ვისლა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | რაძიონკოვი — რუხი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | გროცლინი — პოლონია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | პოგონი — სტომილი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### უკრაინის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | ზაპოროჟიე — დინამო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | შახტარი — ვორსკლა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | პრიკარპატია — კრივბასი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | მარიუპოლი — დნიპრო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ნივა — ტავრია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ცსკა — ზირკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | მეტალისტი — მეტალურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | კარპატი — ჩორნომორეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | აბერდინი — სელტიკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | რეინჯერსი — კილმარნოკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰიბერნიანი — მოზერველი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | სტ. ჯონსტონი — ჰართსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | ივერდონი — გრასჰოპერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | არაუ — სერვეტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ბაზელი — დელემონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლუგანო — ლოზანა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ქსამაქსი — სენტ გალენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ციურიხი — ლუცერნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | აუსტრია — რაპიდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### დანიის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | ვეილე — ბრონდბიუ | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | აგფ — ჰერფოლგე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ოდენსე — აკადემისკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ლიუნგბიუ — ესბიერგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სილკებორგი — კოპენჰაგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 2.08 | ოლბორგი — ვიბორგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### შვედეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | აიკ — ელფსბორგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1.08 | ნორჩიოპინგი — კალმარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ტრელებორგი — ფრიოლუნდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 2.08 | ჰამარბი — იორებრო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ჰელსინგბორგი — იორგრიტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | გიოტებორგი — მალმიო | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07 | რუსენბორგი — კონგსვინგერი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 3,9 | 5,0 |
| 1.08 | ბრანი — ბოდო გლიმტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მოლდე — ვოლერენგა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ოდ გრენლანდი — მოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სტაბეკი — ლილესტრიომი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სტრომსგოდსეტი — სკეიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ვიკინგი — ტრომსიო | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### გერმანიის თასი. I ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | ვერლი — მიონხენგლადბახი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | დარმშტადტი — ხემნიცი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | კარლ ცაისი — ფიურტი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | პლაუენი — ალემანია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ოსნაბრიუკი — კოტბუსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ჰემი — კიკერსი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | ზინგენი — ობერჰაუზენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 1.08 | ვუპერტალი — ოფენბახი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | დიუსელდორფი — ნიურნბერგი | 6,0 | 3,8 | 1,4 |

### ინგლისის სუპერთასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | მანჩესტერი — არსენალი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### კონფედერაციათა თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07 | აშშ — გერმანია | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | ზელანდია — ბრაზილია | 12,0 | 6,0 | 1,1 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადრიდის ერთგული ხორვატი

ოთხშაბათს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებმა განაცხადეს, რომ ხორვატი თავდამსხმელი დავორ შუკერი, რომელსაც მადრიდის „რეალის" მწვრთნელ ჯონ ტოშაკთან ცუდი ურთიერთობა აქვს, კიევის „დინამოში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. სააგენტოებისვე თქმით, შუკერი თავად დაკავშირებია კიეველთა მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის და უკრაინულ გუნდში გადასვლის შესახებ უსაუბრია.

მოგვიანებით უკრაინის უძლიერესი კლუბის ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შუკერის „დინამოში" თამაშის შანსი მეტად მცირეა. „დინამოს" პრეზიდენტის, ვალერი სურკისის განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კიევში უნდა ჩასულიყო და „დინამოს" დირექტორატს შეხვედროდა. თუ ტრანსფერი შედგებოდა, დავორ შუკერი „დინამოს" მეცხრე ლეგიონერი გახდებოდა. შეგახსენებთ, რომ უკრაინის ჩემპიონის და თასის მფლობელის ღირსებას უკვე იცავს ხუთი რუსი, ორი ბელარუსი და ერთიც ქართველი — კახა კალაძე.

ეს იყო ოთხშაბათს, გუშინ კი ესპანეთის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა გაზეთმა AS-მა განაცხადა, რომ შუკერი არსად წასვლას არ აპირებს და მადრიდში დარჩენა სწადია — მას სურს „რეალის" ნაცვლად პრიმერა დივიზიონში ალზევებულ „რაიო ვალეკანოში" ითამაშოს. ესეც არ იყოს, შუკერის მეუღლეს ტელეწამყვან ანა ობრეგონს მადრიდის ტელევიზიის დატოვება არ სურს. გაზეთისავე ცნობით, „რაიო ვალეკანომ" შუკერს უკვე შესთავაზა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფეხბურთელი წელიწადში 600 ათას დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ დავორ შუკერს თავისთან ეპატიჟებოდნენ ინგლისური „ქოვენთრი", „ვესტ ჰემი" და „ტოტენჰემი", ასევე ბერძნული „ოლიმპიაკოსი".

**კოტე მაიტაძე**



მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხორვატი დავორ შუკერი

# ფული ნორვეგიულ ფეხბურთში

სად მიდის ის ფული, რომელსაც უეფა ევროთასების გათამაშებებიდან იღებს და რომელსაც შემდეგ თავის დაქვემდებარებაში მყოფ ფედერაციებს უნაწილებს?

ნორვეგიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრების ყოფილი წევრი კარენ ესპელუნდი, რომელიც ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორია და ამავდროულად უეფას ფეხბურთელ ქალთა კომიტეტის წევრია, მოგვითხრობს, თუ როგორ იყენებს ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაცია უეფას დახმარებას.



ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბოგი" ყველასათვის ანგარიშგასაწევ მეტოქედ იქცა

## უეფას ფული

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიაში მხოლოდ ოთხი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ჩვენი ქვეყნის კლუბებს ევროთასების მეოთხედფინალის იქით ვერ გაუღწევიათ, ნორვეგია დღესდღეობით უეფას ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წევრია.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია გრძნობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნორვეგიული კლუბების მონაწილეობა. ევროთასებზე. საეთაშორისო შეჯიბრებებში ასპარეზობას ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის საგრძნობი განვითარება მოსდევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ჩვენ ვხვდებით, რომ უეფას გეგმა, რომელიც ამ ორგანიზაციაში შემავალი ყველა ფედერაციის თანაბარი დახმარებისა და უცილობელ განვითარებაზეა აგებული, შესანიშნავია. უეფას გეგმა მნიშვნელოვანია არა მარტო ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციისთვის, არამედ მასში შემავალი ყველა, ორმოცდათერთმეტივე საფეხბურთო ასოციაციისთვის. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ასოციაცია დაახლოებით იმ სისტემით მუშაობს, როგორითაც უეფა, ანუ ის ფული, რომელიც ჩვენთან შემოდის, მარტო აქ არ რჩება — ნაწილდება ყველგან და ყველაფერზე, რაც შეიძლება განვითარდეს. ისევე, როგორც უეფაა ჩემპიონთა ლიგის თამაშების ტელეტრანსლირების უფლების ერთადერთი მფლობელი, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციასაც ერთადერთს აქვს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების ტელეტრანსლირების უფლება.

უეფას გეგმის მნიშვნელობაზე რომ ვისაუბროთ, გეტყვით, რომ 1998 წელს ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონთა ლიგის მატჩიდან 750 ათასი შვეიცარიეული ფრანკი მიიღო. რა თქმა უნდა, ეს თანხა მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი ფეხბურთის კეთილდღეობას. ამასთანავე, ეს არის ფული, რომელიც შეიძლება მოიხმარო ისე, რომ მოკლე დროში უფრო დიდი სარგებელი ნახო.

მსურს, გითხრათ, რომ 1992-99 წლებში უეფამ ჩვენს უძლიერეს კლუბებს — სტავანგერის „ვიკინგს", „სტრომგოდსეტს", „რუსენბორგს", „ლილესტრიომს", „კონგსვინგერს", „ბოდო გლიმიტს", „მოლდეს", „ტრომსიოს" და „ბრანს" 2 მილიონ 752 ათასი შვეიცარული ფრანკი გადაურიცხა, რაც თავისთავად საგრნობი დახმარებაა. აქვე მინდა დავძინო, რომ ეს თანხა განაწილდა ყველა ზემოჩამოთვლილ კლუბებზე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ჩემპიონთა ლიგაში არც უთამაშია. ასეთი დიდი თანხის გადარიცხვა ძირითადად იმით გახლდათ განპირობებული, რომ ნორვეგიის ბოლო წლების უძლიერესი კლუბი, ტრონჰეიმის „რუსენბორგი" 1995-99 წლებში მუდამ ასპარეზობდა ჩემპიონთა ლიგაში. უეფას ყოველწლიური დახმარებების გონივრული მოხმარებით „რუსენბორგმა" შეძლო თაობათა ცვლის უმტკივნეულოდ გადატანა, მომავალ თაობაზე თანხის დაბანდება და რაც ყველაზე მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში მუდმივი მონაწილეობა.

## ნორვეგიული ფეხბურთი

ნორვეგიაში დაახლოებით 300 ათასამდე ფეხბურთელია, რომელთაგანაც 65 ათასი ქალია, 220 ათასი კი 16-წლამდელია. ისინი ქვეყანაში არსებული 1800-მდე კლუბში თამაშობენ.

რაც შეეხება კაცებს, პროფესიონალებად მხოლოდ პირველი და მეორე დივიზიონი 28 კლუბში (14-14 გუნდი თითო დივიზიონში) მოთამაშე ფეხბურთელებს მივიჩნევთ. ასეთი განსაზღვრება ნორვეგიული ფეხბურთისთვის აუცილებელია — მიზეზი ისაა, რომ პროფესიონალებად ვერ ჩაითვლებიან ის ფეხბურთელები, რომლებიც ქვედა დივიზიონის კლუბებში თამაშობენ. ასეთი გუნდები, როგორც წესი, მოყვარული მოთამაშეებისგან კომპლექტდება.

ნორვეგიის ყველა კუთხეში ფეხბურთი თანაბრად რომ განვითარდეს, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ შემდეგი სტრუქტურა შეიმუშავა — ქვეყანაში ჩვენი ასოციაციის წესების განმტკიცებისთვის და ამ თამაშის კიდევ უფრო პოპულარიზაციისთვის შექმნილია 19 რეგიონალური ადმინისტრაცია, რომელიც საქმის წარმართვაში გვეხმარება. ეს ადმინისტრაციული ცენტრები ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციის „მარჯვენა ხელის" ფუნქციას ასრულებს და მათი ძალისხმევით სასურველ პოლიტიკას ვატარებთ.

თავადაც ხვდებით, რომ ჩვენი ფეხბურთის ასოციაცია მარტო ვერ შეეჭიდება ამხელა საქმეს. ამიტომაც ის 19 რეგიონალური ორგანიზაცია ისეთ კლუბებს ეხმარება, რომლებსაც ჩვენ სათანადო ყურადღებას ვერ ვუთმობთ. რეგიონალური ორგანიზაციები მოყვარულ ფეხბურთელებს ყველანაირ საკითხს უგვარებენ. ძირითადად სწორედ ისინი კურირებენ პატარ-პატარა ტურნირების მოწყობას, რეგიონებს შორის შეჯიბრებებს, საზაფხულო ბანაკები, უზრუნველყოფენ მეზობელი ქვეყნების მოყვარულ გუნდებთან კავშირებს და ასე შემდეგ.

ყოველივე ეს, ნორვეგიის ფეხბურთის ასოციაციამ სწორედ მას შემდეგ შეძლო, რაც უეფასგან საგრძნობი დახმარება მიიღო. თქვენც ხედავთ, თუ რაოდენ დიდი საქმე კეთდება გონივრულად მოხმარებული თანხით — უეფამ განავითარა ნორვეგიული ფეხბურთი, სანაცვლოდ კი კიდევ ერთი ძლიერი საფეხბურთო წევრი შეიმატა ანუ გაღებული ასი ათასი დოლარი მთლიანად დაიბრუნა. რაც უფრო მეტი ძლიერი ქვეყანა იქნება უეფაში, ამ ორგანიზაციისთვის უკეთესი არაა?

**უეფას ბიულეტენი**



ბავშვები სპეციალისტების რჩევებს ისმენენ

# სტეფანიამ ფრანგის ცოდვა დაიდო

**ბოსტონის საზაფხულო ლიგა**

**სიეტლი 85:78 ნიუ იორკი**

სიეტლი: ვინსონი (16), ვილიამსი (13), პატერსონი (11), მაკკოი (15), სტეფანია (16 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); ჯონსონი (5), ლუისი (7), ელისმა, ნემბარდი (2), ბერი

ნიუ იორკი: ოლივერი (16), ბრანსონი (12), თურქჯანი (10), ჯონსონი (16), ვეისი (3); როჯერსი, შამგოდი (3), კერნერი (10), ჯენეტი (8), კოხი

გრძელდება ბოსტონის საზაფხულო ლიგა და მასთან ერთად „სიეტლ სუპერსონიქსის“ და მისი ქართველი კალათბურთელის ვლადიმერ სტეფანიას ყოჩაღობა. ვოვა ამჯერად ერთპიროვნული ბომბარდირი არ გამხდარა, თუმცა მასზე მეტიც ვერავინ ჩააგდო — ოთხმა მოთამაშემ 16-16 ქულა დააგროვა.

სტეფანიამ ამჯერად 38 წუთი ითამაშა, კვლავ ცენტრად. „ნიუ იორკ ნიქსმა“ მის წინააღმდეგ ამ წლის დრაფტში აყვანილი 218-სანტიმეტრიანი ფრანგი ფრედერიკ ვეისი ათამაშა. იოლი მისახვედრია, როგორ დამთავრდა ეს მიკროდუელი — სტეფანიას სტატისტიკურ მონაცემებს მატჩის ოქმში იხილავთ, ხოლო ფრანგმა 3 ქულას ოთხი მოხსნა და ორი დაფარება დაუმატა. სულ ვეისმა თამაშიდან სამჯერ ესროლა და მიზანს ერთადერთხელ მიაღწია. „ნიქსის“ მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ თქვა, კარგი იქნება, თუ ვეისი კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს ევროპაშიო.

არაუშავდა ნიუ იორკის მეორე ევროპელს, თურქ მირსად თურქჯანს. მან 41 წუთი დაჰყო მოედანზე, 9 ნასროლიდან 5 ბურთი ჩააგდო და 10 ქულას დასჯერდა. 4 საჯარიმოდან თურქმა ვერცერთი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ 8 მოხსნა მიითვალა.

„ნიქსის“ უკანახაზელმა ჯიმი ოლივერმა პირველ მეოთხედში 10 ქულა გააკეთა, მაგრამ ეს მონაკვეთი სიეტლმა 29:20 მოიგო. საერთოდ, ნიუიორკელები ერთადერთხელ იყვნენ წინ, ისიც მატჩის დასაწყისში და მათი უდიდესი დაწინაურება 4 ქულა იყო.

სტეფანიას მხარდამხარ კარგად გაისარჯა სიეტლელთა გამთამაშებელი ფრედ ვინსონი: 6-დან 4 სამქულიანი ჩააგდო. გუნდის მეორე უკანახაზელმა შემონდ ვილიამსმა 9 პასი გააზერხა, თუმცა ამ მაჩვენებელში მატჩის რეკორდსმენი ვერ გახდა — ნიუიორკელმა რიკ ბრანსონმა 12 პასი ჩამოარიგა. მიუხედავად ამისა, „სუპერსონიქსის“ უპირატესობა აშკარა იყო, მან ტაიმი 46:37 მოიგო და, საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო. ყველაზე დიდი სხვაობა კი 14 ქულა გახლდათ.

სტეფანიამ 5 ორქულიანიდან 2 ჩააგდო, 4 სამქულიანიდან — ასევე 2, ოღონდ „არაქართულად“ ესროლა საჯარიმოები: 7-დან 6-ჯერ ზუსტი აღმოჩნდა. მისი გუნდის მორიგი მეტოქე კი ლარი ბერდის „ინდიანა პეისერზი“ იქნება.

ბოსტონის საზაფხულო ლიგის მეორე დღის მატჩები ასე დასრულდა: „ვაშინგტონ ვიზარდსი“ — „ნიუ ჯერსი ნეთსი“ 93:90, „ბოსტონ სელტიქსი“ — გერმანიის ნაკრები 118:71, „ინდიანა პეისერზი“ — „ფილადელფია 76“ 100:86.

# დეტლეფ შრემპფი: თუ არ გამაგდეს, არ წავალ

„სიეტლ სუპერსონიქსის“ გერმანელი ფორვარდის დეტლეფ შრემპფის გუნდიდან წასვლის თაობაზე ახალ-ახალი დეტალები ირკვევა. შეგახსენებთ, რომ შრემპფი თავისუფალი აგენტია, ხოლო კლუბი ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ წელიწადში ერთ მილიონ დოლარს სთავაზობს. ამ წინადადებამ აღაშფოთა კალათბურთელი და თითქოს უთქვამს — ეს თანხა ჩემთვის დამამცირებელია, ან „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ გადავალ ან კალათბურთს თავს დავანებებო.

მეორე დღეს კი შრემპფმა თავის განცხადება შეარბილა და თქვა, პორტლენდი და თავის დანებება არ მიხსენებია. მე ვთქვი, რომ თუ სიეტლი უარს იტყვის ჩემზე, იმ შემთხვევაში წავალ სხვაგანო.

არადა, „სუპერსონიქსს“ შრემპფზე უარი ჯერ არ უთქვამს. ამის შესაძლებლობა არსებობს, რადგან კლუბს სხვა მოთამაშეების დასამატებლად და მათთვის გასამრჯელოს გადასახდელად ფული სჭირდება. ერთდროულად ეს საქმე და, თან, შრემპფის ძველ ხელფასად (წელიწადში 4 მილიონი დოლარი) დატოვება არ გამოდის — ჯამური ხელფასის ზღვარის გადაცდენის უფლება არცერთ კლუბს არა აქვს. სავარაუდოდ, „სუპერსონიქსი“ წელიწადში 1 მილიონზე მეტს ვერ შესთავაზებს შრემპფს.

„სიეტლ სუპერსონიქსის“ აღმასრულებელმა ვიცეპრეზიდენტმა ბილი მაკკინიმ აღნიშნა, რომ კლუბს არ უთქვამს შრემპფისთვის, შენ აღარ გვაინტერესებო. 1 აგვისტოდან კი თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტების გაფორმების სეზონი იწყება და ბევრი რამ მერე გაცხადდება.

ამასობაში კი 36 წლის შრემპფმა თქვა, სადაც არ უნდა ვითამაშო, მაინც სიეტლში ვიცხოვრებო. კალათბურთელის თქმით, მისი ოჯახი შეეჩვია სიეტლურ გარემოს და იქიდან ფეხსაც არ გაადგამს. თავად დეტლეფი კი, „სონიქსში“ თამაში თუ არ გამოუვა, ისეთი ქალაქის გუნდში წავა, რომელიც სიეტლთან ახლოა.

ისე, სიეტლთან ყველაზე ახლოს პორტლენდია.

# ვაშაკიძე ისევ რუსებს გაახსენდათ

ვაჟა [illegible] ფოტო



ირაკლი ვაშაკიძე

მაინც რამდენი და რა პირობები უნდა შესთავაზონ კალათბურთელს, რომ იგი საქართველოში დარჩეს და აქ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშოს. ათასი? ორიათასი? იქნებ უფრო მეტი, ან ნაკლები.

ასეა თუ ისე, დღეს კალათბურთელებს ესეც არ აქვთ, მხოლოდ საარსებო მინიმუმით კმაყოფილდებიან და რაღა გასაკვირია, რომ უფრო შორს, ევროპისკენ უჭირავთ თვალი. იქ სადაც ფულსაც ნორმალურად გადაუხდიან და არც გაყინულ დარბაზში ვარჯიში მოუწევთ.

კალათბურთელთა დიდ ნაწილს ოჯახები ჰყავთ სარჩენი, თავიანთი ხელობით კი ჩვენში პურის ფულს თუ მოუყრიან თავს...

ერთიორად ძნელია, როცა უკვე ბევრი რამ გინახავს, კალათბურთისგან კარგიც ბლომად მიგიღია და გახსოვს. ახლა კი ... დღეს-ხვალ კარიერას დაამთავრებ და ამდენი შრომის სანაცვლოდ ორი კაპიკი დანაზოგიც კი არ გადაგრჩება. სხვა რა გზა გაქვს? სად უნდა წახვიდე? ისლა დაგრჩენია, სანამ შნო გაქვს და ჯანი გერჩის, იქამდე ითამაშო. ოღონდ შორს, სადმე სხვაგან, იქ, სადაც...

ირაკლი ვაშაკიძის ბედიც ასე აეწყო. თავის დროზე მართლაც კარგი კალათბურთელი იყო და ახლაც ძველებურად ბურთაობს. სულ ახალგაზრდა მაშინდელ „დინამოშიც“ გამოირჩეოდა...

შემდეგ, საქართველოს და ქართულ კლუბებს რომ ვერას გამორჩა, რუსეთში გადაიხვეწა და ერთხანს მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობდა. მერე სამშობლოში ჩამოვიდა და ... ახლა ისრაელისკენ აიღო გეზი. იქიდანაც დაბრუნდა.

სულ ბოლოს ვაშაკიძე კვლავაც „დინამოში“ ვიხილეთ, თუმცა ისიც ვიგუმანეთ, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო.

ამას წინათ კი თბილისში ინდივიდუალურად მოვარჯიშე ირაკლი ვაშაკიძე კვლავაც რუსებს გახსენებიათ. მისთვის სამარის კლუბ „სამარას“ მთავარ მწვრთნელ ბორის სოკოლოვსკის დაურეკავს და უთქვამს, გავიგეთ, უგუნდოდ ყოფილხარ და თუ შენი სურვილიც ჩვენსას დაემთხვევა, ჩემოდანი ჩაალაგე და პირველივე თვითმფრინავს გამოჰყევიო.

ირაკლის ბევრიც არ უფიქრია, სამარაში ჩასულა და მეორე დღესვე ორკვირიან შეკრებაზე ყაზანში მიმავალ გუნდს დამგზავრებია.

ახლა ქარველი „სამარასთან“ ერთად ბორის სოკოლოვსკის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს და კარს მომდგარი სეზონისთვის ემზადება. მწვრთნელი თანახმა ყოფილა, ვაშაკიძე დაიტოვოს, ირაკლის გუნდის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობებზეც უსაუბრია და ყოველგვარი ოფიციალური მხარე სამარაში დაბრუნებისთანავე მოგვარდებაო, გვითხრა გუშინ კალათბურთელის თბილისში დარჩენილმა მეუღლემ და დასძინა, სანამ არ დაბინავდება, პირადად მასთან საუბარი არ მოგიხერხდებათო.

**გიორგი ბიკაშვილი**

# შაკი, შაკი გვინდა!

სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი დასრულდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ ოლიმპიური ლიცენზიები მოიპოვეს. კანადელთათვის ეს შესაძლებლობების მაქსიმუმია, რადგან სიდნეიში მედლებს ისინი ვერც მიეკარებიან და არც არავინ მიაკარებთ. აი, ამერიკელთათვის კი პუერტო რიკოში გამართული ტურნირი ოლიმპიადისთვის მზადების პირველი ეტაპი გახლდათ.

ტურნირის დასრულებისთანავე დაიწყო უშუალოდ საოლიმპიადო გუნდის შექმნა. ამის პირველი ნაბიჯი აშშ-ის ნაკრებიდან სამი ახალგაზრდა კალათბურთელის — ვალი შჩერბაკის, ელტონ ბრენდის და რიჩარდ ჰამილტონის დათხოვნა იყო. ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ დიდი მადლობა მოახსენა ამ ყმაწვილებს სამშობლოსთვის გაწეული სამსახურისთვის და უმალ მათ შემცვლელებზე დაიწყო ფიქრი.

დავიწყოთ იმით, რომ პუერტო რიკოში მოასპარეზე აშშ-ის ნაკრებს არ ჰყავდა ნორმალური ცენტრი. ამან ვერ შეუშალა ხელი ამერიკელებს ნებისმიერი მეტოქის განადგურებაში. ამ ამპლუაში მოთამაშე ტიმ დანკანი (ნომინალურად თავდამსხმელია) ბედნიერი იყო და ამბობდა, რა კარგია, ცენტრი რომ არ გვყავს, მე დიდხანს მომიწევს თამაშიო. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ცენტრი მაინც აუცილებელია და ამიტომ ამერიკული კალათბურთის მამები საოლიმპიადო გუნდის უმთავრეს კანდიდატად შაკილ ონილს განიხილავენ. ისინი თვლიან, რომ შაკილის გარეშე ამერიკის ნაკრებს გაუჭირდება ისეთ დიდ ცენტრებთან ჭიდილი, როგორებიც არიან ლიტვის არვიდას საბონისი და იუგოსლავიის ვლადე დივაცი (ისე, ვითომ ვერ მოინელებს ერთი ტიმ დანკანი საბონისს და დივაცს ერთად აღებულს? — რედ.).

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ამერიკის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის მოადგილე რას გრანიკი:

„ჩემი აზრით, ის პიროვნება, რომელიც აუცილებლად გვჭირდება, არის შაკილ ონილი. ძალიან გამიკვირდება, თუკი ის ნაკრებში ვერ მოხვდება. თუმცა, ჩვენ კიდევ ბევრი უმაღლესი კლასის, უდიდესი კალათბურთელები გვყავს. შემადგენლობის შერჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს“.

რატომ შფოთავს ასე საკალათბურთო ამერიკა? აშშ-ის ნაკრებს არ ჰქონდა სუსტი მხარეები პუერტო რიკოს ტურნირის დროს. ვერც ფიზიკურ თუ ტაქტიკურ მომზადებას დაუწუნებდი გუნდს, ტექნიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. განგაში კანადასთან ფინალური მატჩის შემდეგ ატყდა. არიქა, კანადელმა ტოდ მაკკალოფმა (ფილადელფიამ წლევანდელი დრაფტის მეორე წრეში აიყვანა) 26 ქულა ჩაგვიგდო და 14 ბურთი მოგვიხსნა. ყველაფერ ამას კი კანადელმა იმით მიაღწია, რომ ფარქვეშ ჩვენს მოთამაშეებს მიწევ-მოწევდა და ისე იკავებდა ადგილსო.

მარტო შაკილი რას ეყოფაო და რას გრანიკმა ნაკრებში კარლ მელოუნის აუცილებლობაც აღიარა. მისივე თქმით, გუნდის უკანა ხაზს ალენ აივერსონი მოუხდება. აი, გრანტ ჰილს კი ცივი წყალი გადაასხა გრანიკმა: „გრანტ ჰილმა, ისევე როგორც ყველა დანარჩენმა, უნდა დაიცადოს იქამდე, სანამ ფედერაცია შემადგენლობას გამოაცხადებს. მერე ყველა გაიგებს, ვინ გუნდშია და ვინ — მის გარეთ“.

საოლიმპიადო შემადგენლობა კი წლის ბოლოს დასახელდება. ამას გააკეთებს ამერიკის კალათბურთის ფედერაციის საგანგებოდ შექმნილი კომიტეტი, რომელშიც ათი კაცი შედის. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ვინ როგორ დაიწყებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგ ჩემპიონატს — კომიტეტი გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებს.

თავისი აზრი აქვს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს როდ თორნს: „ნაკრებს უნდა დავამატოთ ძლიერი შორიდან მსროლელი. ალან ჰიუსტონი, სტივ სმიტი და გერი პეიტონი საკმარისი არ არის“.

ახლა გავიხსენოთ, როგორ ითამაშა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა პუერტო რიკოს ტურნირზე. მოიგო ათიდან ათი მატჩი, მეტოქეებს საშუალოდ 31,6 ქულით ამარცხებდა (ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე — 32,3 ქულით).

აშშ-ის ნაკრებმა 100-ქულიან ზღვარს ოთხჯერ მიაღწია, ხოლო მატჩში საშუალოდ 66,2 ქულა გაუშვა. გაცილებით ნაკლები, ვიდრე ატლანტის ოლიმპიადაზე მაშინ ეს მაჩვენებელი 70,3 ქულა იყო.

სამი კვირის განმავლობაში (ტურნირს წინ შეკრება უძღოდა) კალათბურთელები კალათბურთზე მეტად გოლფით, ბანქოთი, სერფინგით და მზის აბაზანებით იყვნენ დაკავებულნი. ტურნირის დაწყების დღიდან შეწყდა ვარჯიშები. ნაკრების წევრის ალან ჰიუსტონის აზრით: „პუერტო რიკოში გართობა მეტი იყო, ვიდრე საქმე, მაგრამ როცა გუნდში ასეთი კარგი მოთამაშეები გყავს... ათი დღის განმავლობაში ყოველდღე ვთამაშობდით — ამან ცოტა გადაგვღალა. მეორე მხრივ კარგია, სამი კვირის მანძილზე ერთად რომ ვიყავით — ოლიმპიადისთვის ერთმანეთის უკეთ გაცნობა აუცილებელია“.

# პიპენს ჰიუსტონში ურჩევნია

სარბიელის არქივიდან



სკოტი პიპენი

სკოტი პიპენი „ჰიუსტონ როკიტსში“ სეზონის წინ გადავიდა „ჩიკაგო ბულზიდან“. ვერ ვიტყვით, რომ ლიგის ექვსგზის ჩემპიონს და ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს ხეირიანი წელიწადი ჰქონდა. ჰიუსტონში თამაშისას მან მატჩში საშუალოდ 14 ქულა დააგროვა. ამაზე უარესი შედეგი კი, 12-წლიან კარიერაში ერთადერთხელ ჰქონია.

პიპენს ჰიუსტონში არასაკალათბურთო პრობლემებიც შეექმნა. აპრილში პოლიციამ დააკავა, რადგან მანქანას მთვრალი მართავდა. მიუხედავად ამისა, კალათბურთელს მომავალ წელსაც „როკიტსში“ დარჩენა სურს და ამბობს: „ჰიუსტონი ერთადერთი ადგილია, სადაც თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში“.

პიპენისთვის წარუმატებელ სეზონს უკვალოდ არ ჩაუვლია. ალაპარაკდნენ კიდეც, „როკიტსი“ სკოტის გაყიდვას უპირებსო. ჰიუსტონელთა ხელმძღვანელობამ თავიდან სასწრაფოდ უარყო ცნობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მწვრთნელად ფილ ჯექსონი დაინიშნა, ჭორების ახალი ტალღაც აგორდა.

მოგეხსენებათ, ჯექსონი „ჩიკაგო ბულზში“ პიპენის მწვრთნელი იყო და ძალიან კარგად იცის კალათბურთელის ფასი. „ლეიკერსის“ ბანაკიდან ხმა გამოვიდა: გლენ რაისსა და რობერტ ჰორის მივცემთ „როკიტსს“, სამაგიეროდ პიპენი დაგვითმონო...

ახლა უკვე პიპენი ალაპარაკდა: „ეს ყველაფერი ჭორია. „როკიტსის“ ხელმძღვანელობას ჯერ არ შევხვედრივარ. როცა დრო მოვა, დავსხდებით, ვისაუბრებთ და ყველა საკითხს პატიოსნად გადავწყვეტთ“. 34 წლის სკოტიმ იქვე დააყოლა, რომ მომავალი სეზონი გაცილებით უკეთესი იქნება და ერთადერთი გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც მას წარმატების მიღწევა სურს, არის „ჰიუსტონ როკიტსი“.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიტი და პეტი

## სიძულვილის ისტორია


პიტ სამპრასი

პამათი და პრესაში მეტოქეზე აუგის თქმა ჩოგბურთელი ქალებისთვის ლამის ყოველდღიური საქმიანობაა (გაიხსენეთ ანა კურნიკოვა და პატი შნიდერი, მარტინა ჰინგისი და იანა ნოვოტნა), მაგრამ ეს რამდენიმე დღეა, მათ მაგალითს კაცებმაც მიბაძეს.

პატრიკ რაფტერმა, რომელიც ამ ორშაბათიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანია, თავისი პირველივე პრესკონფერენცია იმისთვის გამოიყენა, პიტ სამპრასისთვის ეკბინა.

„უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ, როცა მას კორტსა თუ კლასიფიკაციაში ვჯობნი, თუნდაც უბრალოდ ნერვებს ვუშლი... იგი მართლაც სასაცილო კომენტარებს აკეთებს ხოლმე ყველაზე უდროო დროს. კორტზე ბოლომდე ვიხარჯებით, მაგრამ იგი მეტოქეს ჯეროვან პატივს არასოდეს სცემს და წაგების გასამართლებლად სხვისი დამსახურების ნაცვლად რაღაც უაზრო მიზეზები მოჰყავს. სწორედ ეს მწყინს ყველაზე მეტად და ვცდილობ, მეც იმავეთი ვუპასუხო".

ასეთი განცხადება რაფტერის მხრიდან მით უფრო მოულოდნელია, რომ იგი ATP ტურზე ერთ-ერთ ყველაზე მხიარულ და საერთოდ, „კარგ" ბიჭად ითვლება, მოთმინებას არასდროს კარგავს და უჩვეულო თავმდაბლობითაც გამოირჩევა.

სამპრასი და რაფტერი დიდ მეგობრებად არასოდეს ითვლებოდნენ, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა საბოლოოდ შარშან ზაფხულში გაფუჭდა.

ცინცინატის ტურნირის ფინალში ავსტრალიელთან წაგებამ „პისტოლ პიტი" ისე გააცხარა, იმის ნაცვლად, მეტოქისთვის მიელოცა, დაუსრულებლად ამტკიცებდა, მატჩ-პოინტზე მისი მოწოდება „აუტი" იყო და არა ეისიო. მერე კიკინიანმა ოზმა ამერიკელს აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში აჯობა, მაგრამ ტკბილ სიტყვას ვერც იქ ეღირსა — სამპრასმა მარცხი კუნთის დაჭიმვას გადააბრალა, თორემ ჩემსა და მაგას შორის განსხვავება ათი დიდი სლემის ტიტულიაო.

ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ რაფტერი კმაყოფილი ვერ დარჩებოდა და ეს პრესკონფერენციაზე პირველად გამომჟღავნდა, თუმცა ავსტრალიელი ვნებათაღელვას ბოლომდე მაინც არ აჰყოლია.

„პიტთან შუღლს ჩემთვის სტიმული სულაც არ მიუცია — პირველი ჩოგნობა ისეც ძალიან მსურდა, ოღონდ მეეჭვებოდა, რომ ამის მიღწევა შემეძლო. ისე, ჩვენი შედარება მაინც არ შეიძლება — სულ სხვადასხვა ლიგებში ვართ, იგი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია და ამისთვის დიდ პატივსაც ვცემ".

სამპრასის რეაქცია კი ასეთი იყო: „მე პეტთან გასაყოფი არაფერი მაქვს. თუ მას ჩემი საქციელი არ მოსწონს, წინააღმდეგი არ ვარ, ჩამოვსხდეთ და ვისაუბროთ ამის შესახებ. არ მსურს, მასთან მასმედიაში ომი წამოვიწყო. ეს უაზრობაა".

თუმცა პიტმა ისიც აღიარა, რომ ზემოხსენებულ ცინცინატის ტურნირზე ცოტა მართლაც გადაამლაშა: „მატჩის შემდეგ მსაჯის შეცდომის გამო ძალიან გაბრაზებული ვიყავი და უსიამოვნო სიტყვებიც წამომცდა. ბუნებრივია, მას ეს არ მოეწონა... მეტოქეებს დამსახურებას არასოდეს ვუკარგავ, მაგრამ თუ ვფიქრობ, რომ თავად არც ისე კარგად ვითამაშე, ამას ყოველთვის ვამბობ".

და რას ფიქრობენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ კულისებს მიღმა? სამპრასის ერთი მეგობრის თქმით, იგი სინამდვილეში რაფტერს იდიოტად თვლის. თავის მხრივ, ავსტრალიელ მარკ ვუდფორდს მიაჩნია, რომ პიტს უბრალოდ შურს, მის მშობლიურ ამერიკაში ოზი პოპულარობით რომ არ ჩამოუვარდება.


პატრიკ რაფტერი

დაბოლოს, პირად შეხვედრებში სამპრასი ავსტრალიელ კოლეგას 8:4-ს უგებს, თუმცა ბოლო სამი მატჩი რაფტერის გამარჯვებით დასრულდა. პიტს კი სამაგიეროს გადახდა მეტოქისთვის ამ კვირაშივე შეეძლება — თუ ლოს ანჯელესის ტურნირის ფინალში გავა, იგი ოზს პირველ ჩოგნობას წაართმევს.

# იაგუარების მოთმინეობრემელი

შარშანდლიდან მოყოლებული, როდესაც ყველასთვის უცნობი ჟან-მაიკლ გემბლი საჩოგბურთო ამერიკის იმედი და ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ახალბედა გახდა, შეიცვალა მისი ჰობიც — მანქანების მოდელთა კოლექციის ადგილი ინგლისურმა სპორტულმა „იაგუარებმა" დაიკავეს.

„ჩემთვის ისინი არანაკლებს ნიშნავენ, ვიდრე ერთ ტურნირზე, ვთქვათ, სამპრასისა და აგასის დამარცხება (რაც ჟან-მაიკლმა წლეულს უკვე მოახერხა)" — აღნიშნავს ქერა და დაკუნთული ამერიკელი, რომელიც თავის ხუთივე ძვირადღირებულ მანქანას ცივ ნიავს არ აკარებს.

„მე მართლაც მიყვარს ისინი. მთელი სიამოვნებაა სოფლის გზებზე ნელა სიარული, მუსიკის გარეშე, მხოლოდ ძრავას ხმაურის სმენა და ბუნებით დატკბობა".

ასეთი იდეალური შესაძლებლობა 22 წლის ამერიკელს შინ, სპოკეინში მდებარე ათაკრიან რანჩოში ეძლევა, სადაც თავისი კლასიკური და უახლესი „იაგუარებისთვის" სპეციალური ფარეხი მოაწყო — ლამის საუკუნოვანი თავლა გადააკეთა, შიგ მანქანების სამრეცხაოც დაატია, თორემ ხელით მანქანების ყოველდღიურად რეცხვას დიდი დრო მიჰქონდა.

„იგი გამორჩეულად სუფთა და აკურატულია" — ამბობს დედა დიანა, რომლის ოჯახი ოთხი ადამიანის, ოთხი ძაღლის, ოთხი ცხენისა და ხუთი კატისგან შედგება.


ჟან-მაიკლ გემბლი

გემბილის კოლექციაში ორი S და E-TYPE კლასიკი, 1995 წლის XJS კაბრიოლეტი და ახალთახალი, 1999 წლის XJR შედის. მას შეუძლია, „იაგუარის" ძრავას ნებისმიერი ნაწილი დაგისახელოთ, მუდმივად ეძებს ძველ მოდელებს, რომელთაც მოგვიანებით აღადგენს, მაგრამ ძვირი მანქანები თავის მოსაწონებლად სულაც არ სჭირდება: მათი ადგილი ფარეხშია, საყიდლებზე კი უბრალო „ფორდით" დაიარება.

გემბლის გატაცების შესახებ უკვე „იაგუარის" ბოსებმაც იციან — ინგლისში, დევისის თასის მატჩზე ყოფნისას მას პერსონალური ექსკურსიაც კი მოუწყვეს ქოვენთრიში მდებარე ქარხანაში.

# გზად ჰანოვერისკენ

ნოემბრის ბოლოს ATP ტურის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე — მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰანოვერში ტრადიციულად მხოლოდ 8 საუკეთესო ჩოგბურთელი იასპარეზებს.

სეზონის დამაგვირგვინებელი პირველობისთვის ამჟამინდელი კლასიფიკაციის მონაცემებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს — საუკეთესო რვეული იმის მიხედვით შეირჩევა, 1999-ში ვინ მეტი ქულა დააგროვა.

ქვემოთ შემოთავაზებული ნუსხაც გათავისუფლებულია უბრალო მოკვდავთათვის გაუგებარი დეტალებისა და რთული 52-კვირიანი გამოთვლის სისტემისგან: მასში მხოლოდ ის არის მოცემული, სეზონის დაწყებიდან დღემდე ვინ როგორ გამოიჩინა თავი.

კლასიფიკაციასა და ამ სიას შორის განსხვავება კი მართლაც დიდია — მაგალითად, მსოფლიოს პირველი ჩოგანი პატრიკ რაფტერი წლევანდელი მონაგარით მხოლოდ მე-17 ადგილზე იმყოფება, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად დარჩენილ თვეებში ორმაგი ჯაფა დაადგება.

**ავთანდილ სვანიძე**

ჰანოვერისკენ გზაზე დაწინაურებულთა სია კი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ანდრე აგასი | 2151 | (3) |
| 2. | გუსტავო კუერტენი | 2093 | (6) |
| 3. | ევგენი კაფელნიკოვი | 1682 | (4) |
| 4. | მარსელო რიოსი | 1615 | (13) |
| 5. | ტიმ ჰენმანი | 1598 | (5) |
| 6. | ტომი ჰაასი | 1576 | (15) |
| 7. | პიტ სამპრასი | 1557 | (2) |
| 8. | ტომას ენკვისტი | 1462 | (18) |
| 9. | ფელიქს მანტია | 1417 | (12) |
| 10. | ნიკოლას კიფერი | 1373 | (17) |
| ... | | | |
| 13. | კარლოს მოია | 1348 | (12) |
| ... | | | |
| 17. | პატრიკ რაფტერი | 1239 | (1) |

*ფრჩხილებში მითითებულია ადგილი კლასიფიკაციაში*

# ჯენტლმენები ცისფერს ირჩევენ

კოსტარიკელი ხუან ანტონიო მარინი დიდი ვერაფერიშვილი ჩოგბურთელია, სამაგიეროდ, გარეგნობით ბოლო კვირეებში მართლაც რომ გამოირჩევა.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ აპრილში, ბარსელონის ტურნირზე, მარინი, თავისდა საუბედუროდ, ესპანელ ფელიქს მანტიას შეეკამათა.

„ჩვენ დავნიძლავდით, რომ თუ ფელიქსი ბარსელონაში ნახევარფინალში გააღწევდა, თმები მუქ ლურჯად უნდა გადამეღება, თუ არა და — მას. ერთ-ორ დღეში მივხვდი, რომ იგი ძალიან კარგად თამაშობდა და სანაძლეოს პირობა ტურნირის მოგებით შევაცვლევინე. მაგრამ რად გინდა — მაგ ნაძირალამ ესეც მოახერხა".

აქედან მოყოლებული, ესპანეთში დაბადებული და ამ რამდენიმე წლის წინ გაკოსტარიკელებული მარინი მანტიასგან თავს შორს იჭერდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველ შეხვედრაზე „თავნის" ჩაბარებას ითხოვდა.

მოკლედ, რას არ იზამს კაცი ჭრელი მაისურისა და „ფუფლოს" იარლიყისგან თავის დასაღწევად, ჰოდა, მარინსაც დალაქთან წასვლა მოუხდა.

„მუქ ლურჯად კი შევიღებე თმები, მაგრამ დაბანის შემდეგ ცისფერი ფერი მიიღო. ამას წინათ ჩემი ახალი სპონსორისთვის — ტანსაცმლის კომპანია „ელესისთვის" სურათი უნდა გადამეღო, მათ მთხოვეს, ბუნებრივი ფერი დაიბრუნეო. რაღა მექნა, კიდევ ერთხელ გადავიღებე, მაგრამ რატომღაც გავყვითლდი".

ისე, იმიჯის შეცვლას მარინისთვის კარგის მეტი არაფერი მოუტანია: ორიოდ კვირის წინ ბასტადში კარიერის პირველი ტიტული მიითვალა, სამშაბათს კი უმაგში შარშანდელი ჩემპიონი ბოგდან ულირახიც დაამარცხა.



# ვინა ხართ ჟაჟას დამწევი?


ლორან ჟალაბერი

„ტურ დე ფრანსის" დასრულებისთანავე ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა (UCJ) რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. პირველი სიაში უწინდებურად ფრანგი ლორან ჟალაბერია, რომელსაც ლიდერობა „ტურ დე ფრანსის" პრინციპულ მოსაზრებათა გამო გამოტოვებამაც ვერ დაათმობინა. მეორე წლეულს საფრანგეთში ტრიუმფგამოვლილი იანკი, ლენს არმსტრონგია, შემდეგ კი მოდიან: მიკელე ბარტოლი (იტალია), აბრაამ ოლანო (ესპანეთი), დავიდე რებელინი (იტალია), მიხაელ ბუგერდი (ჰოლანდია), ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია), ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი), ფრანკ ვან დერ ბრუკე (ბელგია) და ვლადიმირ ბელი (იტალია). მოკლედ, ბებერი ევროპა მსოფლიოს ველოსპორტში სწორუპოვარია და არც სამომავლოდ ჩანს ვინმე მისი დამწევი.




ოლეგი და ანჟელიკა: მოყინული გზა ამერიკისკენ

# რუსებს ამერიკა ეღირსათ

შვიდი თვე ითმინეს ყინულზე მსოფლიოში ყველაზე კარგად მოცეკვავე ანჟელიკა კრილოვამ და ოლეგ ოვსიანიკოვმა, სანამ აშშ-ში ცხოვრებისა და მუშაობის ნებართვას მიიღებდნენ; მათ დოკუმენტების არასწორად შედგენის გამო აყოვნებდნენ მკაცრი ამერიკელები. ფიგურულად მოსრიალეებმა გამოტოვეს ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი და მოსკოვში ხეირიანად ვარჯიშსაც ვერ ახერხებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა და ახალი იდეებით დატვირთულ ფიგურისტებს ამერიკამ მწვანე შუქი აუნთო. უხაროდეთ!

ევერესტელები

# ბებერი ხარის ამბავი

## ლევ სარქისოვი

**დაიბადა ვორონეჟში 1938 წლის 2 დეკემბერს. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მუშაობდა თბილხელსაწყოში, თბილისის საავიაციო ქარხანაში უბნის უფროს ოსტატად, სკოლაში შრომის მასწავლებლად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთამსვლელთა მწვრთნელად. ჰყავს მეუღლე ევგენია, ერთი შვილი მარინე, შვილიშვილები 9 წლის ქეთევანი და 2 წლის სოფიკო ბახტაძეები. 1962 წელს მწვერვალ სპარტაკზე და მყინვარწვერზე ასვლებით დაიწყო მთამსვლელობა. დალაშქრული აქვს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალიასკისა და ჰიმალაის პიკები, მათ შორის დედამიწის უმაღლესი მწვერვალი.**

**პამირისა და ტიან-შანის მთებში ავიდა ყოფილი სსრ კავშირის ხუთივე შვიდიათასიან მწვერვალზე, მათ შორის კომუნიზმის, კორჟენევსკაიას (2-2-ჯერ), პობედას, ლენინის, ხან თენგრის პიკებზე, რისთვისაც დაიმსახურა „თოვლის ჯიქის“ ტიტული. სამჯერ ავიდა თითქმის შვიდიათასიან რევოლუციის პიკზე და სამივეჯერ ურთულესი ჩრდილოეთის გზით.**

**დაულაშქრავს ასევე თითქმის შვიდიათასიანი ენგელსისა და მარქსის პიკები. სხვა მნიშვნელოვანი ასვლები განახორციელა ზუგვანდის კედელზე, ჯიგიტზე. კავკასიონზე დალაშქრა თითქმის ყველა ურთულესი მწვერვალი, მათ შორის უშბაზე გაიარა 6 მარშრუტი (ერთი ზამთარში), ჩატინის ჩრდილოეთის გზა, ავიდა ვოლნაია ესპანიაზე, ტიუტიუ ბაშზე (ორჯერ).**





ლევ სარქისოვი ევერესტზე

წლეულს ევერესტზე ჩვენი ექსპედიციების მონაწილე ქართველ მთამსვლელებთან ერთად შარაშნ მყინვარწვერის ფერდობზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე ტაძრის დადგმაში ვმონაწილეობდი. მაშინ იქ, სადაც ფიზიკური ძალა იყო საჭირო, ყველანი ერთად ვიხარჯებოდით, მერე კი, როცა ათას წვრილმანზე და საჩხირკედელაოზე მიდგა ჯერი, ლევ სარქისოვი მარტო დარჩა საქმესთან და ყველაფერი ფრიადზე შეასრულა. ვინც მას იცნობს, ვინც მასთან მთაში ყოფილა, ამბობს, ნამდვილი ხელმარჯვე ოსტატიაო. მთამსვლელთა ექსპედიციებში სწორედ ისაა პასუხისმგებელი რადიოსადგურების მუშაობაზე, მისთვის ანტენის ასამართი ადგილის შერჩევაზე, ფარნების, გაზქურების, პრიმუსების შეკეთებაზე, ბარად ჩამოსულს ვერც საზეინკლო სამუშაოში შეეჯიბრებით, ვერც კაფელის გაკვრაში, მეტლახის დაგებაში, სანტექნიკურ საქმიანობაში და კიდევ მრავალ სხვაგვარ ჩხირკედელაობაში.

— ჩემს ამგვარ უნივერსალურობას თბილისის საავიაციო ქარხანას უნდა ვუმადლოდე, — გვიამბობს ლევ სარქისოვი — იქ ათი წელი ვიმუშავე, 1960 წელს ჯარის მერე ზეინკლის მოწაფეობით დავიწყე და უბნის უფროს ოსტატობით დავამთავრე. პილოტის უხიფათობისთვის კაბინის მოწყობაზე ვზრუნავდი. ამას გარდა, 1957 წელს თბილისში სკოლა დავამთავრე თუ არა, მეორე დღესვე ჩვენს რკინიგზაზე ავარიულ მატარებელზე დავიწყე მუშაობა. აყირავებულ, ერთმანეთში აზელილ ვაგონებში ვძვრებოდი და... ნაწილ-ნაწილ ვჭრიდი, რომ ამწესთვის მუშაობის საშუალება მიმეცა. ათი წელი თბილხელსაწყოში გავატარე — სკოლაში თერთმეტ წელიწადს შრომის მასწავლებლადაც ვმუშაობდი. ამანაც ბევრი რამ მომცა. მართალია, ბავშვებთან მიხდებოდა ურთიერთობა, მაგრამ სწორედ ეს დამეხმარა ადამიანის ფსიქოლოგიაში გასარკვევად. ამიტომ კონფლიქტური მდგომარეობის რეგულირებაც მეხერხება.

მაგრამ მაშინ, მყინვარწვერის ფერდობებზე ლევ სარქისოვის ხელმარჯვე ოსტატობამ და ამ საქმეში პრობლემის სწრაფად გადაჭრის უნარმა კი არ გამაკვირვა, არამედ იმ დროს ამ 60 წლის





ევერესტიდან ჩამოსული ლევ სარქისოვი (მარცხნივ), ბიძინა გუჯაბიძე, და ბენო ქაშაკაშვილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II მიიღო

კაცის აქტიურობამ. თანაც, იმ სიმაღლეზე იგი ჩვენსავით ფეხით კი არ ამოვიდა, არამედ შვეულმფრენით ამოფრინდა და წესით და რიგით, აქტიურობას ვინ ჩივის, როგორც ნორმალურ ადამიანს, თავი ცუდად თუ არა, კარგადაც არ უნდა ეგრძნო, ის კი, ნავარჯიშევ კალიასავით მკვირცხლად დახტოდა. ჰოდა, ვიფიქრე, ამ ხნის კაცი ევერესტზე რომ გაუშვან, იქნებ ავიდეს-მეთქი.

გაუშვეს და მართლაც ავიდა დედამიწის კენწეროზე. თანაც, ევერესტზე ასულთაგან უხუცესი აღმოჩნდა. მაშინ, 11 მაისს 60 წლისა და 162 დღისა იყო — ერთი დღით უფროსი ძველ რეკორდსმენ ესპანელ რამონ ბლანკოზე.

— ეს რეკორდი ჩემი კი არა, მთელი ჩვენი ექსპედიციისაა — გვეუბნება ლევ სარქისოვი — ეს რეკორდი ბაქოელი სარიდან მურსაკალოვისაცაა, რომელიც გადამწყვეტ იერიშზე ავადმყოფობის გამო ველარ წამოვიდა, მაგრამ „კავკასია-99“-ის საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა. როცა ექსპედიციის გამგზავრებამდე ჩემმა ქალიშვილმა კომპიუტერის მეშვეობით ინტერნეტში შეიტყო სუარესის ამბავი, მერე ოჯახში ყველანი ხუმრობით მეუბნეოდნენ, აბა, შენ იცი, სუარესს უნდა აჯობოო. მაგრამ რეკორდებზე არასოდეს მიფიქრია. ეგ კი არა, ახლანდელ ექსპედიციაში მოხვედრა ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. მერე ვშიშობდი, ემანდ ცუდად არ შევიქნა, ქვემოთ ჩვენი ბიჭების სათრევი არ აგვხდე და იმათაც არ ჩავუშალო ექსპედიცია-მეთქი. მე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა შვიდიათასიან მწვერვალზე ავსულვარ, მაგრამ 7000 მეტრის სიმაღლეზე ღამე არასოდეს გამითენებია. არ ვიცოდი რა დამემართებოდა ევერესტზე, როცა ამ სიმაღლეზე და 8300-ზეც ღამისთევა მომიწევდა.

ევერესტზე სამჯერ ნაკლები წნევაა. აქ ისეთი ბიოლოგიური პროცესები იწყება, რომელსაც ადამიანი ვერ არეგულირებს, თუნდაც ერთბაშად ხუთი ჟანგბადის ბალონიდან ასუნთქო, მაგრამ მე ჩვენი ბიჭების იმედი მქონდა, აფი გიგანის იმედი მქონდა, ბიძინა გუჯაბიძის, ექსპედიციის მეთაურ ბენო ქაშაკაშვილის იმედი.

რა თქმა უნდა, ევერესტზე თოკით ვერავის აათრევ. ვერც სხვის ჟანგბადის ბალონსა და სხვა ბარგს ზიდავ. ეს ყველაფერი შეუძლებელია, მაგრამ როცა გვერზე მეგობრები გეგულება, ეს დიდი იმედია. ჩემს წარმატებაში მაშინღა დავრწმუნდი, როცა მწვერვალთან სულ ახლოს ვიყავი. მაგრამ ასვლა საქმის ნახევარია, მთავარია ჩამოსვლა. მთაში უბედური შემთხვევები სწორედ მაშინ ხდება. მწვერვალზე ასულმა სათვალე მოვიხსენი და ამის გამო ორივე თვალით დავბრმავდი. რამდენიმე დღით, რა თქმა უნდა. თვალების ტკივილი საშინელ ტკივილად, მაგრამ მთავარი სიბრმავეა. იქ თვალხილულნი ვერ დადიან და ახლა თვალებდავსებული წარმოიდგინეთ, მაგრამ ბიჭები მხარში ამომიდგნენ, თუმცა, ბიძინაც ცალი თვალით ჩემ დღეში იყო...

მაგრამ არ იფიქროთ, რაკი ამ ხნის კაცი მაინც ავიდა ევერესტზე და ბოლოს მშვიდობითაც ჩამოვიდა, ეს იოლი გასეირნება იყო. ამას ჩვენებთან ერთად ოცამდე 15-16-მთამსვლელიანი ექსპედიციები ცდილობდნენ, თანაც ყოველმხრივ კარგად აღჭურვილ-უზრუნველყოფილნი, მაგრამ მიზანს თითო-ოროლა ექსპედიციის თითო-ოროლა წევრმა მიაღწია, რამდენიმე კაცი კი დაიღუპა კიდეც.

ასე რომ, სარქისოვი თანაგუნდელებს თავის საყრდენებად მიიჩნევს ფიზიკურადაც და მორალურადაც. ამბობს, უცნობებთან ევერესტზე ვერ ავიდოდიო.

ისე, მკითხველის ნაწილი რატომღაც დაბნეულია და ვერ გაუგია, ლევ სარქისოვი ჩვენებური სომეხია თუ „ნამდვილი“ სომეხი.

— პაპაჩემი პეტრე გუზინსკის მოურავი იყო. ჩემი მშობლებიც აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ. 1938 წელს მშობლები სამუშაოდ ვორონეჟში მიავლინეს, უფრო სწორად, როგორც მაშინ ხშირად ხდებოდა, ბრძანებით გაამწესეს. მეც იმავე წელს დავიბადე. მერე მეორე მსოფლიო ომი ატყდა და მშობლები ისევ თბილისში დაბრუნდნენ. მას მერე აქ გავიზარდე, სკოლაც აქვე დავამთავრე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც ვსწავლობდი, მაგრამ მივატოვე და ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე. სხვათა შორის, ამ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები.. 45 წლისამ ჩავაბარე.

მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში მთამსვლელთა მწვრთნელად ვმუშაობდი. გინდა თუ არა, ამ სპეციალობით დიპლომი უნდა გქონდესო. როგორც მთამსვლელი, ცხადია საქართველოში ჩამოვყალიბდი. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გივი ქართველიშვილს. მის ექსპედიციაში პირველად 1965 წელს მოვხვდი და კავკასიონზე მწვერვალ რუსთაველზე ავედი. ეს იყო ჩემი პირველი ექსპედიცია, მწვერვალისკენ გავლილი გზა კი ჩემი პირველი მე-4 ბ კატეგორიის სირთულის მარშრუტი, — გვიამბო სარქისოვმა.

მას მერე ჩვენი წერილის გმირმა ურთულესი გზებით მრავალი მწვერვალი დალაშქრა. ასე რომ, ევერესტზე „კავკასია-99“-ის წევრად იგი არა მხოლოდ თავისი სომხობის, არამედ მაღალი მთამსვლური კვალიფიკაციის წყალობითაც მოხვდა, მით უმეტეს, რომ მრავალი წელია კარგად იცნობს ახალგაზრდა თანაგუნდელებს, რომელთა დაოსტატებაში თავადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია და ერთადაც მრავალ მწვერვალზე ასულან. ამ ასვლებიდან ყველაზე მეტი სიამოვნება ამერიკაში მაკ კინლიზე ლაშქრობას მოუტანია.

— მაკ კინლიზე ბიძინა გუჯაბიძესთან და ბენო ქაშაკაშვილთან ერთად 1996 წლის მაისში ავედი, მაგრამ დღევანდლამდე ეიფორიაში ვარ, — გვიამბობს სარქისოვი. — შთაბეჭდილებებს მხოლოდ მწვერვალზე ასვლა-ჩამოსვლა არ განაპირობებს. კარგ მოგონებებს შთაბეჭდილებათა ერთობლიობა ქმნის, რაც ექსპედიციის გამგზავრებისთანავე იწყება. ევერესტზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ძალიან მაინტერესებდა ჰიმალაისთან შეხვედრა, ნეპალის ნახვა, გასეირნება კატმანდუში, რაც მთამსვლელთ მექა. ეს სულ სხვა სამყაროა, მაგრამ ჩემთვის მაკ კინლიზე ექსპედიციამ მაინც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მწვერვალზე რომ ვერ ავსულიყავი, ეს შთაბეჭდილება მაინც არ გამიუფერულდებოდა. იქ ჩასვლამდე ვერც ვიფიქრებდი, რომ ასეთი შთაბეჭდილებებით დავიხუნძლებოდი. 40 წელიწადია, მწვერვალზე ავდივარ და ვერ ვიფიქრებდი, რომ მაკ კინლიზე ასეთი სიამოვნება მელოდა.

მანამდე მთაში მთელი ცხოვრება სპორტული ინტერესებით დავდიოდი. თავდაპირველად სათანრიგო ნორმატივებზე ვფიქრობდი, მერე ჩემპიონატების მედლებზე, ბუნების სიმშვენიერის ჭვრეტისთვის ველარ ვიცლიდი, მძიმე ზურგჩანთამოკიდებული და წელში მოხრილი ან საკუთარ ფეხებს ვხედავდი, ან თანაგუნდელთა ქუსლებს, ან ცხვირი პიტალო კლდეზე თუ ყინულზე მქონდა მიდებული. შესვენებისას თუ ყინვარს გადმოვხედავდი, ახლა იმას ვზომავდი თვალით და ვანგარიშობდი, რამდენ ხანში გავივლი-მეთქი, რადგან დროში მუდამ შეზღუდული ვიყავი. მაკ კინლიზე კი მყინვარს უკვე „მუშტრის“ თვალით აღარ ვუყურებდი, მას ვუყურებდი როგორც ვეება ყინულოვან მდინარეს.

არა, ეს სულ სხვაგვარი ექსპედიცია იყო, ისეთი, როგორიც მანამდე არ გვქონია: ჯერ ამერიკაში გადაფრენა და მასთან შეხვედრა იყო საინტერესო. მერე ალიასკაზე, ანკორიჯში, იქიდან კი ერთი ციცქნა თვითმფრინავით სოფელ ტალკეტნაში გადაფრენა, 2050 მეტრ სიმაღლეზე თოვლზე დაჯდომა და პრაქტიკულად იქიდან პირდაპირ მაკ კინლიზე ასვლის დაწყება. მწვერვალისკენ, ცხადია ზურგჩანთამოკიდებულები დავიძარით და თან მძიმედდატვირთულ ციგებს მივათრევდით, რაც ჩვენს პრაქტიკაში პირველი შემთხვევა იყო. თავად მწვერვალი ტექნიკური თვალსაზრისით საშუალო სირთულისაა. მთავარი პრობლემა სიმაღლეთა დიდი სხვაობა და საშინელი ყინვაა, რადგან მწვერვალი უკიდურეს ჩრდილოეთში ლამის დედამიწის დასასრულს, პოლუსთან ახლოსაა. ასასვლელი მანძილი, მხოლოდ სიმაღლეში 4 კილომეტრი იყო. სიმაღლეთა შორის ასეთი სხვაობა თვით დედამიწის უმაღლეს მწვარვალზეც არ გვხვდება. მაკ კინლიზე ყინვა მუდმივად 35-40 გრადუსია. ასე ძალიან ჯერ არსად შეგვცივნია.

მწვერვალიდან ისეთი გრანდიოზული „თეთრი მდუმარება“ დავინახე, როგორიც არსად შემხვედრია. ეს იყო შეხვედრა ჯეკ ლონდონის გმირებთან. ის ასვლა იქნებ იმიტომაც ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ ეს იყო შეხვედრა ჩემს ახალგაზრდობასთან, როცა პირველად წავედი 1962 წელს ყაზბეგის რაიონში, სადაც სპარტაკზე და მყინვარწვერზე ზაურ მიქაძის ხელმძღვანელობითა და ვახტანგ ქირიკაშვილის მეგზურობით ავედით. ჩემთვის გამაოგნებელი იყო გერგეტის ყინვარი, კვალი თოვლზე... მაშინ, როგორც მაკ-კინლიზე, არ ვფიქრობდი თანრიგზე, მედლებზე, დროში „ჩატევაზე“...

მაგრამ ლევ სარქისოვს, როგორც ყველა მთამსვლელს, წარუმატებლობებიც ახსოვს. მას არაერთხელ პირი უბრუნებია მწვერვალის ძირიდანაც, შუა მარშრუტიდანაც და მაშინაც, როცა მიზნამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა.

— შუა გზიდან მობრუნება უფრო დიდი ვაჟკაცობაა, ვიდრე ასვლა. წარმოიდგინეთ, რაოდენი ნებისყოფაა საჭირო, როცა თბილისიდან უამრავი ნაცნობმეგობარი, ახლობელი ზარზეიმით გაცილებს, იქვე [illegible] ინტერვიუებს. შენ კი მთელი ექსპედიციის თანხებს რომ გახარჯავ, ბოლოს ასვლაზე უარს იტყვი. მაგრამ ეს შიშით ან შენი დაბალი ოსტატობის დონით როდი აიხსნება. პირიქით, საჭირო დროს მწვერვალზე უარის თქმას ელემენტარული ლოგიკა განაპირობებს. უკან დახევა გამართლებულია, როცა არის ზვავის საშიშროება, ქვათაცვენის საშიშროება... მაგრამ ზოგჯერ თავგანწირვაა საჭირო, როცა ხიფათში ჩავარდნილს ეხმარები.

ასე იყო 1972 წელსაც, როცა ჩვენი მთამსვლელები მწვერვალ რევოლუციაზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატის პროგრამით ადიოდნენ. იმავე მარშრუტზე იყვნენ რუსი მთამსვლელებიც. ერთ ჯგუფს ურთულესი მონაკვეთი უკვე გაევლო და მწვერვალამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდათ, როცა საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. სამასიოდე მეტრის ქვემოთ ქართველთა გუნდი იყო, უფრო ქვემოთ მოსკოველებისა. ქართველებს რაციით საბაზოდან აცნობეს, თქვენს ზემოთ ტრაგედია დატრიალდა, იქნებ ახვიდეთ და ცოცხლები გადაარჩინოთო. ჩვენებს რაღა ეჩემპიონატებოდათ, უმალ ზემოთ ლევ სარქისოვი და დევი თარხნიშვილი (მერე უშბაზე დაიღუპა) გავარდნენ. იქ ასულთ კულუარში, თოკზე დაკიდებული და კლდეზე შეყინული ორი მთამსვლელის გვამი დახვდათ. ერთიც იქიდან გადამხტარიყო და მწვერვალის ძირში ჩაჩეხილიყო, ხუთნი კი კარავში ნახეს.

— ისინი ცოცხლები კი იყვნენ, მაგრამ ხელ-ფეხი საშინლად მოყინვოდათ და ტრავმირებულნიც იყვნენ. ჟანგბადის ნაკლებობისგან და შიმშილისგან გონება მთლად დანისვლოდათ. ჩხუბი დაგვიწყეს, ჩვენს დასახმარებლად ვინ დაგიძახათ, ვინ მოგცათ ამის უფლებაო. ძლივს დავიყოლიეთ, რომ გამოგვყოლოდნენ. ცხადია, ისეთ დღეში იყვნენ, ასვლის გზით ვერ ჩამოვიყვანდით. ამიტომ შორი, მაგრამ ნაკლებ სახიფათო გზით მოვუარეთ. 20 დღის მერე ქვემოთ გაჭირვებით ჩამოვედით თავადაც მშიერ-მწყურვალნი, — გვიამბო სარქისოვმა. თუმცა, მას რომ არ მოეთხრო, ეს ამბავი საკავშირო პრესიდანაც ალბათ ბევრ მთამსვლელთა გულშემატკივარსაც ახსოვს.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ჩემპიონატის ოქროს მედლებს მესამე ჯგუფს აძლევდნენ, ქართველები მთლად მწვერვალზე არ ასულხართო. ბოლოს ინამუსეს და ქართველებთან ერთად გაუყვეს.

ასეთი სახიფათო თავგადასავლებისა და ასაკის მიუხედავად, ოჯახის წევრები ლევ სარქისოვს მწვერვალზე სიარულს არ უშლიან.

— მთაში სიარულში დავბერდი და ამ ხნის კაცს, აბა, ჭკუაზე როგორღა მომიყვანენ, — იცინის სარქისოვი.

ბაბუა კაცის მთაში გაჭრა იქნებ სულაც არ ეპიტნავებათ, მაგრამ ოჯახის წევრები მის გატაცებას „გაგებით ეკიდებიან“.

გაუგებენ, აბა რა, როცა მან თავისი მომავალი მეუღლე მთაში გაიცნო, ისიც მწვერვალებზე მოსიარულე. მერე, ქალიშვილი რომ წამოეზარდა, ისიც თოვლყინულოვან გზებზე შეაყენა, მაგრამ ახლა, როცა ორი შვილიშვილის პაპა ახუნტრუცდა და „პატარა ბიჭებთან“ ერთად დედამიწის უმაღლესი მწვარვალისკენ გაიჭრა, ცოლს ამის გამო პირველად უტირია, ევერესტი მაინც ევერესტიაო. მაგრამ ხომ გაგიგიათ ბებერი ხარის რქების ამბავი?

**ავთანდილ გურასაშვილი**





ლევ სარქისოვმა ალიასკიდან მდიდარი შთაბეჭდილებები და ეს ველოსიპედი ჩამოიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტს ისევ შემცირება ემუქრება. წლეულს ის მთავრობამ შარშანდელთან შედარებით 30 პროცენტით შეკვეცა, ახლა კიდევ 40 პროცენტს აკლებს, ოღონდ მეორე-მესამე კვარტალში

# ნუ გაგვწირავთ!

## მედალს ვინ ჩივის, სიდნეიში წამსვლელიც სანატრელი გაგვიხდება


ბადრი ქეთელაურის ფოტო

კახი ასათიანი: რა ვქნა?!

წლის მეორე ნახევარში მისაღები თანხა 1279 ათასი ლარია. თუ მას 40 პროცენტი, ანუ 512 ათასი მოაკლდება, რჩება 767 ათასი ლარი. ეს ციფრები, თორემ რეალურად რამდენს მიიღებს დეპარტამენტი, არავინ იცის. მას ხომ ჯერ წინა წლების დავალიანება — 811,4 ათასი ლარიც არ მიუღია. წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებული თანხიდანაც 200 ათასს კვლავ ელის.

დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა ქვეყნის პრეზიდენტის სახელზე შეადგინა წერილი, რომელშიც ბიუჯეტის უცვლელად დატოვებას სთხოვს. მას პირადად უნდოდა წერილის გადაცემა, მაგრამ რადგან მოუცლელმა პრეზიდენტმა ვერ მიიღო, იგი ფოსტით გაუგზავნა. მას მერე ერთი კვირა გავიდა, პასუხი კი არ ჩანს. არაა გამორიცხული, წერილმა პრეზიდენტამდე ვერც მიაღწიოს.

წლევანდელი ბიუჯეტის 70 პროცენტი შინაურ და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას ითვალისწინებდა. ახლა კი რა გამოდის — ისედაც სად მიმოდიოდნენ ჩვენი სპორტსმენები და ახლა სულ უფრო შეეკვეცებათ ასპარეზი. არადა, ოლიმპიური ლიცენზიების უმეტესობა აწი გათამაშდება. საშეჯიბრო პრაქტიკის გამდიდრებას ვინლა ჩივის, ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე ქართველ სპორტსმენებს იგი კიდევ უფრო მოაკლდებათ. ჩვენი სასიდნეო იმედებიც აქამდე ძირითადად მხოლოდ მონაწილეობას უკავშირდებოდა, ამიერიდან კი ესეც თვალსა და ხელს შუა გვიქრება.

დეპარტამენტისგან დაიმედებულმა ჩვენმა ფედერაციებმა წლის დასაწყისში თავიანთი კალენდრები შეუთანხმეს საერთაშორისო ფედერაციებისას, ანუ დათანხმდნენ სეზონის უმნიშვნელოვანეს ტურნირებში მონაწილეობაზე, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატებზეც. ახლა რომ არ ჩავიდნენ (რაც დაფინანსების შემცირებისას მოსალოდნელია) დაჯარიმდებიან. ჯარიმის გადამხდელი კი არავინაა. მაშინ კი სავსებით შესაძლოა, ჩვენებურები ამა თუ იმ საერთაშორისო ფედერაციის რიგებიდან გაირიცხნონ.

მოკლედ, მეტად არასასურველი ვითარებაა. ისე, ერთი რამ ვერ აგვიხსნია — შარშან, მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველომ მეექვსე გუნდური ადგილი დაიკავა. მაშინ პრეზიდენტი სპორტის ბიუჯეტის გაზრდაზე ალაპარაკდა, მაგრამ საბოლოოდ ეს ბიუჯეტი 30 პროცენტით შემცირდა. ჰოდა, განა უცნაური არ არის: დადგა ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვების დრო და შეუფერხებელი დაფინანსების ნაცვლად ბიუჯეტი... შემცირდა!

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

# დრო და ფული

## ჩვენი მოჭიდავეებისთვის არც ერთია და არც მეორე

ჯერ კიდევ გაურკვეველია, წავლენ თუ არა უმცროსი ასაკის მოჭიდავეები კარსმომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. მიზეზი სხვა რა იქნება — უფულობა. სპორტის დეპარტამენტი თითო-ოროლა მოჭიდავის დაფინანსებაზე ყაბულს კია, მაგრამ ჯერ საამისო თანხაც ვერ გამოუძებნია. არადა, დრო თითქმის აღარ რჩება — თავისუფლად მოჭიდავე ჭაბუკების მსოფლიოს პირველობა სულაც 3 აგვისტოს იწყება ლოძში. ოდნავ მოგვიანებით — 19-22 აგვისტოს ეწყებათ ჩემპიონატი ამავე სტილის მოჭიდავე ახალგაზრდებს. მათი თანატოლი „ბერძენ-რომაელები“ კი აგვისტოს ბოლოს იჭიდავებენ ბუქარესტში. დროის თვალსაზრისით მათ ყველაზე მეტად გაუმართლათ, თუმცა ეს გულარხეინობის საფუძველს სულაც არ იძლევა.

ამ პრობლემაზე ადრეც ვწერდით. მდგომარეობა დღესაც ისეთივეა, როგორიც მაშინ. რაიონებიდან ისევ ყოველდღე ჩამოდიან მწვრთნელები და სპორტსმენები ამბის გასაგებად, დეპარტამენტიც ისევ ყოველდღე იძლევა დაპირებას. მწვრთნელები სანაკრებოდ შეგულებულ თბილისელებს ქალაქიდან არ უშვებენ, ფედერაცია ისევ დეპარტამენტს შეჰყურებს — ბოლო არ უჩანს ყოველდღიურ ვიზიტებს, დავას, კამათს, თხოვნას დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიმართ. კარგა ხანია, ასე გრძელდება.

დღეები ისევ დაპირებებსა და გაცრუებულ იმედებში გადის. დრო კი იკარგება, დრო, რომელიც ესოდენ ძვირფასია. ფედერაცია სპონსორების ძებნას კი შეუდგა, მაგრამ დიდი ხეირი არც აქედან დაჰყრია. ისინი მხოლოდ თითო-ოროლა სპორტსმენის დაფინანსებას შეჰპირდნენ, რაც ზღვაში წვეთია. თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ მოჭიდავეებს თვითონ არჩევენ. ფედერაციამ ბილეთებისა და ვიზების თადარიგი უკვე დაიჭირა, რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მათ ვერ გაუშვებენ, მაშინ ეს ფული იკარგება. ამასთან, შეიძლება საერთაშორისო ფედერაციამაც დააჯარიმოს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# თათრული დებიუტი

თათრეთის დედაქალაქის ცენტრში სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა დგას და სწორედ იქ გაიხსნა გუშინ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის აწ უკვე ფინალური მატჩი ჩინელ სიუ ჟუნსა და რუს ალისა გალიამოვას შორის. აქამდე ეს მატჩი პრეტენდენტთა ფინალი უნდა ყოფილიყო და გამარჯვებული ჟუჟა პოლგარს უნდა დასჯახებოდა, მაგრამ პოლგარ — ფიდეს სკანდალური კონფლიქტის შემდეგ უნგრელი გარიყეს და ახლა ჩინელმაც და რუსმაც ჩემპიონობისთვის ორი კი არა, მხოლოდ ერთი მატჩი უნდა ითამაშონ. რვა პარტია ყაზანში ჩატარდება, დანარჩენი რვა — ჩინეთის ქალაქ შენიანში. საწყისი უპირატესობა სიუ ჟუნის მხარესაა, რადგან მას ტიტულის მოსაპოვებლად მატჩში ყაიმიც ჰყოფნის.

რაც შეეხება საპრიზო ფონდს, რომლის არასაკმარისი ოდენობაც, მოგეხსენებათ, პოლგარის განდგომის უმთავრესი მიზეზი გახდა, იგი არცთუ ბევრს, 120000 დოლარს შეადგენს.

## კარპოვს გოგო შეეძინა

## რა დროს ჭადრაკიაო...

ხვალ ლას ვეგასში ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. მის მონაწილეებს შორის, ცხადია, არ იქნებიან კასპაროვი და მისი მომავალი მეტოქე მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ფინალში — ანანდი; აგრეთვე ალექსანდრ მოროზევიჩი, ჟუჟა პოლგარი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფიდეს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, რომელიც თავიდანვე უარს აცხადებდა თამაშზე, მერე თითქოს მოლბა და დათანხმდა, ბოლოს კი საბოლოოდ იუარა ლას ვეგასში გამგზავრება, თანაც ადრინდელი პროზაული მიზეზებისგან განსხვავებით, ამჯერად ჩემპიონმა წაუსვლელობის საბაბად ბევრად გულისამაჩუყებელი რამ თქვა: გოგო შემეძინა და ჭადრაკისთვის არა მცხელაო. ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით, საერთოდ კი კარპოვმა ათასჯერ ნათქვამი გაიმეორა: ჩემს აზრებს ფიდე იგრნორირებას უკეთებსო, ყველა უძლიერესი არ თამაშობსო, ტიტული მაინც ჩემიაო და ა.შ. და ა.შ.

მოკლედ, არ ვითამაშებ და ფიდე ფეხებსაც ვერ მომჭამსო, დაასკვნა კარპოვმა და თავის ოჯახურ ბედნიერებას მიეცა.


ანატოლი კარპოვი

საწყლოსნო სახეობები


REUTERS სტამბოლიდან

ელენა ჟუპინა და ანა სოროკინა

# მიდი, დედიკო, მიდი!

XXIV European swimming championships Eni ISTANPOOL

საწყლოსნო სახეობათა სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ფინალური გაცურვები ხუთ დისციპლინაში და ერთიც სამმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში გაიმართა. ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ და უპირველესად გერმანელ სტივ ტელოკზე ვთქვათ, რომელიც 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში 25.66 წამით საუკეთესო იყო და რაც მთავარია, მან ამ შედეგით ევროპის რეკორდსმენის სახელიც დაიგდო. ტელოკმა ფრანგი ფრანკ შოტუს, წლეულს, 18 მარტს დამყარებული რეკორდი (25.71) დაამხო. ჩემპიონს არც მისი თვისტომი ტომას რეპრატა (25.94) ჩამორჩა და ვერცხლი ირგუნა, ბრინჯაო კი პოლონელმა მარიუშ შიმბიდამ (26.07) მოიპოვა.

უკრაინელთა ყულაბა მეორე ოქროთი შეავსო იანა კლოჩკოვამ (2.14.02), რომელმაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში რუმინელი ბეატრის კაზლარუ (2.15,12) და გერმანელი საბინე კლენცი (2.16,95) მოიტოვა. იანას ევროპის ორგზის ჩემპიონობა თანაგუნდელებმა მიულოცეს, აი, ბრინჯაოსმედალოსან საბინეს კი ტრიბუნიდან პატარა რამონი ქომაგობდა და აუზიდან ამოსულ გახარებულ დედას სულისმოთქმაც არ აცალა და კისერზე ჩამოეკიდა.

ზუსტად არ ვიცი და ამიტომაც ვერაფერს გეტყვით 18 წლის გერმანელი ჰანა შტოკბაუერის ოჯახურ ამბებზე, თუმცა იმას კი გაცნობებთ, რომ ჰანამ 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში არაფერი დათმო, დისტანცია 8.33,79 წუთში გასცურა და ოქროც მოიპოვა. ვიცე-ჩემპიონობა ჰოლანდიელ კარსტენ კოლგასს (8.35,19)ერგო, ბრინჯაო — გერმანელ იანა ჰენკეს (8.37,06).

200 მეტრზე ბრასით მოცურავე რუს დმიტრი კომორნიკოვს გუშინ 18 წელი შეუსრულდა და გამარჯვების შემთხვევაში საკუთარ თავს ჩინებულ საჩუქარს გაუკეთებდა, მაგრამ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს დღეობა ჩაუმწარა ფრანგმა სტეფან პერომ, რომელმაც დისტანცია 2.12,88 წუთში დაცურა და ამბიციური რუსი ვერცხლსლა დააჯერა.

ფრანგი ფრანკ ესპოზიტო ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვაში ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და თავისი ძალა სტამბოლის აუზშიც დაამტკიცა. ესპოზიტომ ოქრო რომ ჩაიბარა, მერე მეტოქეებზე, გამორჩეულად კი პრიზიორებზე — ბელარუს დენის სილანტიევზე და რუს ანატოლი პოლიაკოვზე არ დაიშურა საქებარი სიტყვები — კარგი ბიჭები არიან, მათ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინესო.

ბოლოს კი სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულად მოხტუნავე ქალებზეც ვთქვათ. აქ საუკეთესონი უკრაინელები — ელენა ჟუპინა და ანა სოროკინა იყვნენ. ვერცხლის მედლები გერმანელებს კონი შმალფუსსა და სიმონა კოხს ერგოთ, ფრანგები ოდილ არბოლე-სიუბონი და ჟიული დანო ბრინჯაოს დასჯერდნენ.

კახა ხურციძე


REUTERS სტამბოლიდან

სტივ ტელოკი


საბინე კლენცი

მძლეოსნობა

# ბენ ჯონსონი ბრუნდება?

გავრცელდა ასეთი ხმებიც და არცთუ უსაფუძვლოდ. მკითხველმა იცის „დიდი ბენის“ ისტორია — თერთმეტი წლის წინ სეულის ოლიმპიადაზე უპატიოსნო მსოფლიო რეკორდი რომ დაამყარა დოპინგით გაჭყეპილმა; ერთხელ კი უთაქეს, მაგრამ ამანაც ვერ მოარჯულა და დანაშაული განმეორებითაც ჩაიდინა, რასაც მძლეოსნობიდან მისი სამუდამო მოკვეთა მოჰყვა, თუმცა რაღა სამუდამო: 3 აგვისტოს მონაკოში დახურულ კარს მიღმა ჯონსონი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ბოსებს შეხვდება და, როგორც ამბობენ, მისი კარიერის რესტავრაციის ალბათობაც გვარიანად დიდია.

დავით გულუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, ნაღდი ამერიკა!



REUTERS ოკლენდიდან

*მედლეხვალიე კაცსაო, ხომ გაგიგიათ, ჰოდა, თადარიგის დროულად დაჭერას ჯერჯერობით არავისთვის უვნია. ოკლენდში ლუის ვუიტონის სახელობის ზღვაოსნურ შეჯიბრთა სერია 18 ოქტომბერს უნდა დაიწყოს, მაგრამ ამერიკული იახტა „ამერიკა თრუ“ (ნაღდი ამერიკა) უკვე ახალ ზელანდიაშია და საასპარეზოდაც ემზადება. ნავი იმითაც გახლავთ გამორჩეული, რომ მის აგებაში NASA-ს (ამერიკის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტი) მიუღია მონაწილეობა.*

# მოდი, ვნახოთ სტენლის თასი

ჰოკეის ყველაზე სანუკვარი ჯილდო სტენლის თასი ამ დღეებში ბებერ კონტინენტზე მოგზაურობს — მას NHL-ის ჩემპიონის „დალას სტარზის“ ევროპელი მოთამაშეები დაატარებენ მშობლიურ დაბა-ქალაქებში. აგერ თანამემამულეებს დიდი ოფლისღვრით მოპოვებული ჯილდო ფინელმა იერე ლეჰტინენმაც წარუდგინა.



REUTERS ჰელსინკიდან

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7




# მოუჭირე, დევიდ!

„მაკლარენ მერსედესის“ შოტლანდიელი მრბოლი დევიდ კულჰარდი, ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონ მიკა ჰაკინენთან ერთად შტუტგარტში „მერსედესის“ ქარხანას ეწვია და S-კლასის ავტომობილის აწყობაში ერთი-ორი ჭანჭიკის მოჭერით თავისი მოკრძალებული წვლილიც შეიტანა. ისე, ბოროტი ენები ამბობენ, დევიდმა ცოტა თუ არ მოუმატა და უკეთ არ იასპარეზა, მალე ახალი სამუშაოს ძებნა მოუწევსო. ასე რომ, იქნებ ეს გენერალური რეპეტიციაც კი იყოს.



REUTERS შტუტგარტიდან



REUTERS ვინიპეგიდან

# შენ ფიდელის ხელში იყო...

*კანადელ ნიჩბოსან მარნი მაკბინს XIII პანამერიკულ თამაშებზე გასახარი მართლაც რომ ჰქონდა — გარდა იმისა, რომ ერთეულთა შეჯიბრში ოქროს მედალი დაისაკუთრა, თმის ახალი ვარცხნილობაც თურმე ყველა დაქალმა მოუწონა. ჰოდა, დაჯილდოების ცერემონიალზე კანადის ჰიმნს მარნიმ ისეთი სტვენა დაურთო, რომ... უკანა პლანზე, მოწყენილი იერით კუბელი გონსალეს ბოროტო, ბრინჯაოს მედლის მფლობელი დგას. მაკბინის სტვენა მის გულს აშკარად არ ახალისებს.*

# ლა ბომბა სექსბომბას ირჩევს



REUTERS პრაღიდან

მდინარის პირას, პრაღის რესტორანში სახელგანთქმულ ჩეხურ ლუდს შეექცევა არანაკლებ სახელგანთქმული, სამთომოთხილამურე ალბერტო „ლა ბომბა“ ტომბა. ჩეხეთის დედაქალაქს კი ვარსკვლავი ფრიად საპასუხისმგებლო მისიით ესტუმრა — იგი სააგენტო „ელიტის“ მოდელთა ფინალური კონკურსის ჟიურის წევრია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli